

მეანე როსტომაშვილის საფასით და რედაქციით გამოცემული.

Nº 11.

6-72-V

ცენტრალური ბიბლიოთეკა

მოთხრობა ჩვენი გლობალურ ცენტრულ დაზღვრას

2782

პ. ცენტრალური.

053.

ჩვენ უნდა ვუბოროთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..
ი. კავკავიძე.

83.

ცენტ.

აყველი წუთი თვეისუფალი დროს
ადამიანი სწორას უნდა მოახმაროს!..
კონფუცი.

20/2
52.


053.

33.

სურ.

სტამბა ეჭვთიმე ივ. სელაძეს.

1896



0536630380

0536630380

Дозволено цензурою, Тифлисъ 25 априлля 1896 года.

ტბენის წურბელა



ოფლელნი ორ ჯგუფად ჰქოვენ წურბელებს: პირველ ჯგუფს აკუთვნებენ იმ კეთილთვისების წურბელას, რომელსაც ავადმყოფი ადამიანი დაშავებულს ადგილზედ მოიკიდებს არამი სისხლის გამოსაწოვად. ეს წურბელა სისხლით გაძღვისავე თვითონვე ჰშორდება ადამიანის სხეულს.

მეორე ჯგუფს აკუთვნებენ მავნე თვისების, ეპრედ წოდებულს, ცხენის წურბელას. როდესაც რომელიმე პირუტყვი — ხარი, კაძეჩი, ცხენი თუ სსვა, — დაეწავება ძღინარეს ანუ გუბეს, სადაც ცხენის წურბელა მოიპოვება, ეს უკანასკნელი მათ ადგილად მოეკიდება ხოლმე პირში. ხოლო, რაკი ერთხელ მოეკიდება ეს წურბელა პირუტყვს, ამისი მოშორება მნელია, რადგანაც ერთი შხრიდან რომ სწოვს სისხლს, მეორე შხრიდან ჰქლვრის. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა წურბელის გაძღომა შეუძლებელია და თუ პატრონი არ მოეშველა, პი-

რუტევი მას თავისით თავის დღეში ვერ მოიძორებს...

ცხენის წურბელის მოსაგდებინებლად ხალხი ხმა-რობს შემდეგ საშუალებას: პირუტევს, რომელსაც წურბელა მოჰკიდებია, გაუკრამენ ფეხებს და წააქცევენ; შემდეგ ჩააყრიან პირში ბლომად მარილს, რადგანაც მარილის სიძლაშე წურბელას ასუსტებს, გაუღებენ პირს და ჯოხების ანუ ტაბიკების ტრიალით პურუტევს მუქ-თა-ხორას მოაგდებინებენ.

პირუტევივით უვნებელ გლეხსკაცობასაც სწორედ ამავე დღეში ვხედავთ: მათაც მოკიდებული ჸეავთ წურბელა, რომელსაც აგრეთვე ხოლო უკიდურესი საშუალება თუ მოაშორებს მათ, თორემ სხვა ვერაფერი. აი ამ საშუალების მაჩვენებელია ეს წიგნი...

I.

ვულ-კეთილი გლეხის შრომით
უქონელი გახდა მქონი;
შრომის ხეითქმი მომცურავი
გახდა სულ მის შემყურავი.

ვის გწამთ ღმერთი, მომხედევით,
მომაშორეთ გლეხს წურბელი,
რომ ჩემთა სისხლმა ჩემივე
ერთგულად ჰკვებოს სხეული!..



ოფელ ახმეტის¹⁾ ბოლოს, მდინარე ალაზნის ახლო
გზაზედა, გამელელ-გამომელელის ყურადღებას იქცევდა
ერთი გაძაბული (გაჭიმული), ჩალა დახურული, დერეფნიანი
ფიცრული სახლი. ჩრდილოეთით სახლს მოდგმული პერანდა
ფიცრისავე, და ერთი და იმავე სახურავით გადაბმული, მარანი,
ხოლო, მარანს იქით, ეზოს მეორე მხარეს, გადაჭიმული იყო
გომური, ჩომელსაც ზემოდან კრუხიერით გადაჭერატრებოდა საძნე
და საძნეს უკან — ტყიუშული საბძელი და იქეე შორი ახლო აბა-
ლახებული კალო.

მაისის თვე იყო. საძნეს ქვეშ იდგა გამომეტყველი სახის,
ეს სამოცი წლის, კაცი და მცრელი ცულით იფნის ხილან საძნე
ურმის უბე გამოჰყვანდა. მას ცალი უბე და ორი თვალი უკვე
გაეთავებინა და იქვე საბძლის გვერდზედ აეყუდებინა ცეცხლის
ალზედ გარუელულები და საქონლის პატივით გალესილები.

¹⁾ ახმეტა არის სოფელი კახეთში. მშვენიერი და მდიდარი ბუნების
ადგილი უჭირავს. ახმეტაში ითვლება სამას კომლზე მეტი მცხოვრები ქარ-
თველი და რამდენიმე ჩარჩი-მჯილი სომეხი.

შე ამოეფარა მთას და ბერობაც, ეს იყო სახელი ამ ბერი კაცისა, თავი დაანება მუშაობას; ჩამოჯდა იქვე ძელი ურმის მორგვზედ, გამოიძრო შავი მიტკლის სარტყლიდან თამბაქოს ქისა, გამართა ჩიბუჟი და მიერა მწარე ფიქრს. ბეროს კიდევ ორი სხვა ძმა ჰყენდა: ივანე და გიგო. თითონ ბერო რომ შინაურ საქმეებს—ვენახების, ურმების, გუთნების და მისთანების კეთებას მისდევდა, ივანე ხვნა-თესვის გული და სული იყო და უმცროსი ძმა გიგო-კი ქირაზე და მარილზე დადიოდა. გიგო აღრევე გამოეთხოვა წუთი სოფელს: ის მოკლეს ულმერთო ყაჩალებმა გუმბრის გზაზედ, როცა ის მარილზე იყო წასული. დღეს წლის თავი სოულდებოდა მისი სიკედილის დღიდგან და აიამაზე ფიქრობდა ბერო...

აღმოსავლეთის მხრიდან წყნარად და ფეხ-აკრებით მოიპარებოდა ბინდი, როდესაც ბეროს ძმის-წულებმა საქონელი მორეკეს ჭალებიდან. ეზოში ყველაზედ უწინ ცურ გატენილი ფურები შემოცვივდნენ, მაგრამ, როდესაც მათ თავისი ხბორები ვერსად დაინახეს, მოჰყვნენ შესაბრალისი ხმით ძახილსა: „მუ-უუოოო, მუუუოოო... ფურების ბლავილზე გამოფხიზლებული ბერო წამოდგა ფეხზედ და ჩუმის ხმით წაილულლულა: „ეს ოხერი, რა დამემართა, რომ საქონლის მოსვლაც ვერ გავიგეო“, —და, იქვე კარის ვენახში მყოფ დედაკაცებს, რომლებიც ბოსტანს ჰმარგლიდნენ, გადასძახა: „მოდით, ე ფურები მოწველეთ, ცოდონი არიან!“

გომურის გამოხურული კარებიდან მოისმოდა გაბმითი ბლავილი ხბორებისა, რომელნიც საქონლის მოსვლამდინ თავისუფლად კუდ აშვერილები დაფუნდრუკებდნენ ეზოში და ახლა-კი გომურში იყვნენ დამწყვდეულნი... ორმა ხნიერმა დედაკაცმა და ერთმა ყმაწვილმა ჭალმა გამოიტანეს საწველელები, რომლებშიაც იდგა ცო-ცოტა წყალი, მიუსხლნენ ფურებს, ჩამოჰბანეს ძუძუები, გადაღვარეს დანარჩენი წყალი და დაიწყეს წველა. ხარ-

ჯის გარდა, რძეს აგროვებდნენ და სდლვებავდნენ სადლვებელაში, რომელიც მარნის ერთ შუა კოჭზედ იყო ჩამობმული.

დანარჩენს საქონელს უკან მოჰყვა თრი პატარა მწყემსი: ერთი იყო გიგლა, მოკლული გიგოს ათი წლის შვილი და მეორე — რეზო, ივანეს თორმეტი წლის შვილი. რეზომ კაკლით სავსე პერანგის უბეზედ ხელი დაიკრა რამდენჯერმე, შიგ ჩაყრილ კაკლებს ჩხაკუნი დააწყებინა და დედას, რომელიც ფურსა სწველიდა, შესძახა: „დედი, მიყურე რამდენი კაკალი მოვიგეთ დღეს მე და გიგლამ!“

— ბარაქალა, შვილო! აგრემც დედა გენაცვლება, ე ფური დააყენე, თორმეტ რძეს დამიღვრის!...

წველის შემდეგ ბერომ გააღო გომურის კარები და გზა მისცა დამწყვდეულ ხბორებს, რომელნიც აჩქარებით კარში გამოცვილნენ, გაექანნენ თავ-თავიანთ დედებისკენ და დაიწყეს ცურზედ ცხვირების ჯლახუნით და ფეხების მიწაზედ ბაკა-ბუკით წოვნა...

II.



ეორე დღეს ჩვენი პატარა მწყემსები ადრიანათ წამოცვილდნენ ლოგინიდგან, ჩაიყარეს ოც-ოცი კაკალი გუდებში, ჩაილაგეს პური და გამხმარი ხაჭოს კვერები, გამორეკეს ბაკიდან საქონელი და გასწიეს წალებისკენ, სადაც ერთი-ერთ-მანეთზედ მომდევნო ბიჭები იკრიფებოდნენ და მთელს დღეს სულ მხიარულობაში და თამაშობაში ატარებდნენ. ზოგი მათგანი

ოთაობას¹⁾) თამაშობდა, ზოგი სახრევებს აჯირითავებდა²⁾), ზოგი კოქაობდა, ზოგი ქამრებიდან ბალთებს და ლილებს ისხნიდნენ, პსხამდნენ მიწაზე და საფეხს³⁾ ესროდნენ; ვინც რამდენს გაატანინებდა სალას, იმდენს მოიგებდა და ხან-ღა-ხან შიგ ჭიდაობასაც⁴⁾ გაპჰართავდნენ ხოლმე.

შუადღის ხანი იყო, რომ დაქანცული მოთამაშეები მოუსხდნენ სარკესავით ან კარა ცივ წყაროსა, რომელიც იქვე პატარა ფერდობის ძირას გამოჩუხებულებდა, გამურული ცაცხვების ქვეშ, ამოილეს გუდებიდან და კალთებიდან, ვისაც რა ჰქონდა შინაღან წამოლებული, პური ზოგმა წყაროში ჩააწყოდასაბუჯბუჯებლად და დაიწყეს მაღიანათ სადილის მირთმევა. პურის ჭამის შემდეგ რეზომ ამოილო გუდიდან სავაზე და უთხრა გიგლას: „წამო, წავიდეთ, წნელი მოვკრათ ჭალაში, თორემ ცარიელები რომ მივიდეთ შინ, ძია გაგვიჯავრდება.“

წამოცვივდნენ ორივენი და იქვე ჭალაში შევიდნენ. გუდები

1) ოთი არის პატარა ორმო, რომელშიაც მარტო რამდენიმე კაკალი ჩატარება. უფრო დაქვეითებულ ადგილზედ მოსთხრიან და დანიშულ ბინიდან ისტრიან კაკლებს; რამდენი წყვილიც ჩავარდება ოთში, მეორემ იმდენი წყვილი კაკალი უნდა დაუმატოს პირველის სასარგებლოდ.

2) სახრის ჯირითი. უფრო ხშირად ორნი ეჯიბრებიან ერთმანეთს. საჯირითოდ ანუ შორს გასატყორცნად გრძელ სახრეს გამოჰქონდან, ბოლოდან დაიკრენ, ვისაც რომელი ხელით ემარჯვება, ცერზედ დანდობილი სახრის ბოლოს უსახელო და შუალა თითის შემწეობით დაიჭრენ, უფრო უსახელო თითს-კი ანდევა სახრე. საჩვენებელი თითის საშუალებით, მაგრა დაჭრილ სახრეს გაპჰრავენ წინ. ვისი სახრეც უფრო წინ წავა, ის უნდა შეისოს მხარზედ უკან ჩამორჩენილი სახრის პატრონმა და თავის სახრემდინ მიიცვანოს მხედარი.

3) სალა არის ხელის გულის ოდენა პრტყელი ქვა.

4) შიგ-ჭიდაობა. რამდენიმე მოთამაშე ბიჭები ირგვლივ დასხდებიან; ორნი, ვისაც ერგება ჭიდაობა, უნდა წრეში შევიდნენ და იჭიდავონ. გალახულს ვისკენაც თავი ექნება, ახლა ის უნდა ეპილოს გამარჯვებულს.

ამხანაგებს მიაბარეს. რეზო რჩევითა სკრიდა შეინდისა და თხილის წნელს, გიგლა-კი ნეკა დანით სხეპავდა. როდესაც ერთ კუურიან რცხილის ქვეშ წნელსა სკრიდნენ, უცბათ ფრთხრიალი მოისმა.

— ჰარიქა, გიგლავ, მგონი ამ რცხილაზედ ბუდე უნდა იყოს, რაღაცა აფრინდა! — წამოძახებისავე დააგდო რეზომ ხელი-დან სავაზე და მივარდა ხის ძირას. გიგლამაც დაანება სხეპას თავი და დაიწყეს ორივემ მალლა ტოტებში ცქერა.

— შენ-კი დალალმე, ბუდე დავინახე; ჩქარა ფეხი დამიჭი-რე, ავიდე, — წამოძახა გიგლამ.

— აბა, ბიჭო, მეც დამანახევ, სად არის ბუდე! — აქ გიგლამ გადაწხევია რეზოს მხარზედ ხელი და თით-აშევრილი ეუბნებოდა რეზოს:

— აგე, აგე კენწერში! — რეზოს არც-კი დაენახა ბუდე, რომ გიგლა უცბად რცხილას შემოეხვია და დაიძახა: «მოდი ჩქარა, რეზო, ფეხი ამიწიე!».

— ბიჭო, ჯერ დამანახებდი და მერე ახვიდოდი; იქნება ბუდე არც-კი არი და ისე მჯდომი გაფრინდა რაღაცა იყო.

— არი, როგორ არა, მოდი შენ ფეხი ამიწიე, — და და-იწყო გიგლამ ხეზედ აფოფხვა. რეზომ ფეხი აუწია და გიგლა, როგორც იყო, აძვრა ტოტებში. მოვიდა ბუდემდინ, ჩაყო შეგ ხელი, ამოიყვანა სამი, კარგა დაბუმბლული შეშეის ბლარტი, ჩაისხა უბეში და ჩამოიყვანა ძირს. თუმცა ბლარტების საბრა-ლო დედ-მამა ქრისინით თავს დასტრიალებდნენ თავიანთ მტრებს, თითქოს თავს აბრალებენო, მაგრამ ისინი მათ გარემოებაში არ შედიოდნენ.

ბალლებმა წნელის ჭრას თავი დაანებეს; რაც მოჭრილი ჰქონდათ ერთად მოაგროვეს, შეკრეს ორი პატარა კონა, გაუ-კეთეს წნელის ყურები, წამოიკიდეს და გამოსწიეს საქონლის-კინ. თუმცა მზე კარგა დახრილი იყო, მაგრამ მოუთმენარ

ყაჩალებს ეს მოკლე ხანი მთელ დღედ გადაექცათ და მალ-მალ მზის ჩასელას უცქეროდნენ. მზის სხივები ჯერ ისევ მოჩანდნენ, რომ პატარა შწყემსებმა საქონელი შინისკენ გამორეკეს.

თუმცა ბერი საქონლის მოსელის დროს ეზოში ტრიალებდა, მაინც, ბალლები ეზოში როგორ შემოვიდნენ, ვერ დაინახა. დაინახა მარტო უალაგო-ალაგას გადაყრილი ნედლი წნელის კონები და გაკვირვებით წარმოსთქო: „უთუოდ იმათ თავს ამბავი არი რამეო“, — გამოტრიალდა სახლისკენ და კარებიდან დაუწყო უურება თავის ძმისწულებს, რომლებსაც კვერცხით სავსე ძელი ხოკერი, რომელიც თაროს ქვეშ იდგა, ხელათ დაეცალათ იქევე კუთხეში, ჩაესხათ შიგ ბლარტები და ზედ ხელუახლუი გადაეფარათ, რომელიც თაროზე მდგომ ძმრის ხელადას ჰქონდა და ცმული. გიგლამ მოიტანა პურის გული, ჯერ თითონ დეჭავდა და მერე დალეჭილ პურს სჩრიდა ძალად პირში ხან ერთ ბლარტს, ხან მეორეს და ხან მესამეს. როდესაც სამივეს დაუტენეს ჩიჩახვები ისე, რომ დალეჭილი პური ყელში ამოჩრილი მოჩანდა ერთმანეთ დაშორებულ ნისკარტ-შუა, მოაკრეს ხოკერს ბაწარი და უნდა შეენახათ თუ არა, მოესმათ კარებიდან ბიძის ხმა: „რას ეშაკობთ, ბიჭო, მანდა, რა არის მაგ ხოკერში?!“

— არაფერი, ძიავ! შაშვის ბლარტები მოვიყვანეთ ჭალიდამ და ისენი ჩაესხით, — წამოიძახა გიგლამ.

— პაი თქვე მოუსვენრებო, თქვენა! აბა ე ხოკერი აქ მომიტანეთ და თქვენც ჩემთან მოდით, — დაუძახა ბერომ ბალლებს და თითონაც დერეფანში მდგომ სამ-ფეხა სკამზედ ჩამოჯდა. გიგლამ აიღო ხოკერი ხელში, გავიდნენ გარეთ, დადგეს ბიძის წინ და თითონაც აქეთ-იქით შემოუსხდნენ. ბერომ ჯერ შაშვის ბლარტები ნახა და მერე დაუწყო რეზოს და გიგლას დინჯალ ლაპარაკი: „იცით, რა გითხრათ, ბალლებო! სოფელში თურმე შეიარაღებული ლეკები დადენილან და რომელ სახლშიაც ბალლებს ჰნახავენ, იტაცებენ და თავიანთ ქვეყანაში მიჰყავთ“.

რეზო და გიგლა წამოწითლდნენ და ერთმანეთს შეხედეს. პატარა ხნის შემდეგ რეზომ წამოიძახა: „მე ჩემი დედ-მამა მიშველის და ჩემ თავს ლეკებს არ გაატანენ!“

გიგლა კი დაფიქრდა. მან წარმოიდგინა, რომ მარტო დედა უმამოდ ვერ დაიხსნილა ლეკების ხელიდან, შემკრთალი ბიძას მუხლებში ჩაუდგა და უთხრა: „განა, ბიძა-ჩემო, დედა-ჩემს არ მიეშველები, რომ ლეკებმა არ წამიყვანონ?“

— აბა როგორ მოგეშველოთ, რომ თოფებით დაგვხვრებამენ.

— ჩვენც აკი გვაქ თოფები! — მიუგო გიგლამ.

— ჩვენ თოფებს არც ერთს არა აქთ ტალი და ჩახმახ-მოშლილები ტყუილად კედელზედ ჰქიდია, აბა როგორ ვესროლოთ?

— თუ-კი რეზოს დედ-მამა მიეშველება და ლეკების ხელიდან დაიხსნიან, მე კი თქვენი არა ვარ? მე რაღათ უნდა გამატანოთ იმ ურჯულოებს, იმათ?

— ვერც რეზოს დავიხსნით იმათი ხელიდან და ვერც შენ, — გადაწყვეტით უთხრა ბერომ გულ აჩუკებულ ბალდებს. რეზომ ყურები და თვალები დაამცევიტა და ორივემ თითქმის ერთად წამოიძახეს დალონებულის ხმით თვალ-ცრემლიანებმა: „განა იმ ურჯულოებს არ შევებრალებით, რომ ჩვენ დედ-მამას მოგვაშორონ? ახ, ნეტავი ჩვენც ეხლა დიდი კაცები ვიყვნეთ!

— აი, რეზო და გიგლავ, — უთხრა პატარა ხანს უკან ბერომ. — დღეს თქვენ ამ ბლარტებისთვინ ლეკები წართ. აბა ერთი ბლარტი ამოიყვანე, რეზო, და გაუშინჯე — გული როგორ უცემს! განა ეგენი არა სტირლინგნ, როდესაც ბუდიდგან ამოასხით! განა მაგათი დედ-მამა ცოტას სტირლინგნ, მაგრამ თქვენ ისინი არ შეიბრალეთ! როგორც თქვენ შესწუხდებოდით და იდარდებით ლეკების ხელში, ისე ეგენი სწუხან და დარდობენ თქვენ ხელში; როგორც თქვენი დედ-მამა იდარდებდა თქვენ

მოტაცებაზე და დალონდებოდნენ, ისე მათი დედ-მამა დარჩენენ
დალონებულები, როდესაც ეს ბლარტები წამასხით...

— შეშვები რომ არა სტიროდნენ,—გაოცებით უთხრა გიგ-
ლომ ბერის.

— ხომ გველებოდნენ თავს და ქრისტინებდნენ.

— ჰო, — უთხრა მოწყენილის ხმით რეზომ.

— აი ის ქრისტინი არის იმათი ტირილი და ვაება.

პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ ჩაფიქრებულმა გიგლამ დალო-
ნებულის ხმით უთხრა რეზომს: „ხვალ აღრე გავრეკოთ, რეზო,
საქონელი ჭალებისკენ, ეს ბლარტებიც ისევ თავიანთ ბუდეში
ჩაესხათ და გავახაროთ ამათი დალონებული დედ-მამა.

— აგრე უყოთ,— ეგეთივე კილოთი მიუგო რეზომ.

ბერიმ ორივეს თავზე ხელი გადუსო და უთხრა: „ეხლა
ხოჯერი სახლში შეიტანეთ და კარგ ალაგას დადგით, რომ კატამ
არ მიაგნოს და დილაზედ გამწარებული დედ-მამა, გიგლავ,
როგორუა სთქვი, გაახარეთ.

ბალებმა ხოკერი სახლში შეინახეს და შემდეგ ჯურ
წნელები დააწყეს თავის ალაგას და მერმე საქონელი შერეცეს
ბაქში.

ბერიმ ახლა კევრებსაც დაუწყო შზადება, რადგანაც მკათათ-
ვე მოახლოვებული იყო და მაღლე უნდა შესდგომიდნენ ჯურ
მკას და შემდეგ ლეწვას.

III.



წვანე ბიბინა მინდვრებს და ბუჩქებ ქვეშ აჭრელებულ
სურნელოვან შეკარეებს ზაფხულის სიცხეშ ათასნაირად

უცვალა ფერი. ჯეჯილი გადაქუთა ოქტოს ფრად და სავსე თავ-დახრილი თავთავი მწარედ დაღონებული ელოდებოდა ბასრ ნამდალს. დაღონებულიყო მაზედ, რომ ის, თავისი პატრიონის-თვის, რომლის ოფლოთაც უკანასკნელ დღემდის ირწყოდა, უსარგებლოა და უნებურად ახარებს იმას, ვინც მისთვის სრულებით არაფერსა ჩინუნაშ. აღმოსავლეთის განთავის ნიავმა მწუ-ხარებით სავსე თავ-თავს სასიამოვნო ამბავი ახარა: „ნუ სწუხართ! მადლი ღვთისა ბრწყინვალე შეესავით გაუნათლებს გულს ტან-ჯულ გლებს“.

პირველმა რიგმა თავ-თავმა ეს სასიამოვნო ამბავი ახარა მეორე რიგ თავ-თავს, მეორემ—მესამეს და პატარა ხნის შემ-დეგ, ჯერ ისევ გაურჩეველ სინათლიდგან, გამოისმოდა სიხარულის მოძრაობა და ჩურჩული, რომელიც ემსგავსებოდა ზღვის ღელვას და შეუიღს.

სიხარულით აღტაცებულს ყანას შეესია კიდეც აქა-იქ მუ-შის გუნდი, დალესილი ნამგლები შეაულრიალეს ჰაერში და გა-ლომებულებმა დაუწყეს მკა. მთელი მინდვრები აკრელდა ქალე-ბით, დედა-კაცებით და კაცებით. რომელ გუნდისთვინაც შეგვ-ხედნა, დაინახავდოთ წინ ცუჭვივით მიმხტუნავ მეთაურს, რო-მელიც თავ-დაუზოგავად გასდევდა თავ-თავს და ზედი-ზედ ის-როდა უკან ხელეულებს; მეთაურს მისდევდნენ ერთმანეთს შე-ჯიბრებული მუშები მკით; მათი სიმღერის გუგუნი და სიყვა-რულის სიტყვები, რომლებიც იქვე ნამკალში დაფანტულ თავ-თავების მკრეფავ გოგოებს შეეხებოდა, ერთად შეერთებული ჰქონდა ჰაერში...

უფრო სასიამოვნო სანახავი იყო შრომელაშვილების (ეს იყო ბერისი და მისი ძების გვარი) მამითადის¹⁾ მოქმედება. ოცდა ათი

¹⁾ მამითადი არის დიდ რიცხვოვანი მეშათა გური და მათვის სა-ნოვაგის მომზადებულობა.

დღის ნათესი ხოდაბუნი¹⁾ მათ ერთ დღეს სულ ათეულებად აქციეს. მთელი მამითადი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ისე ებრძოდნენ ერთი-ერთმანეთს მკაში, როგორც გააფთრებული ლომი—ლომს. სეის გატანისავე შააულრიალებდნენ ნამგლებს, დადაპირვევდნენ მხარზე ხელი-ხელს და ორ-პირული ტკბილი სიმღერით ბრუნდებოდნენ ხის ქვეშ ყელის გასაგრილებლად და დაჩლუნგებული ნამგლების პირების მოსალესად სალესავებით, რომლებიც იქვე ხის ქვეშ წყლით სავსე ხისავე ჯამებში ეწყო და შემდეგ ხელახლად ყანას უბრუნდებოდნენ.

ძნის ზიდვის გათავების შემდეგ, ერთ შაბათს შეაბა ბერობ ულელი კამერი კაბდოში²⁾ და მოკაბდოვა გათოხნილი კალო, და შემდეგ, დედა-კაცების დახმარებით, ჯერ იმავე სალამოს და ახლა კვირის სალამოს მორწყა კარგათა.

ორშაბათს გარიურავზედ წაესია თითქმის მთელი ოჯახი კალოს, ცოტა ხანში რამდენიმე ათეული ჩამოაცალეს ერთი მხრიდგან ფრთა-მოქცეულს და ჩაშალეს კალოში. ჩაშალეს აგრეთვე ულოებიდგან მოჭრილი თავ-თავი, შეაბეს ჰალებიდან მორეკილი ექვს-ულელა ხარ-კამერი ახლად მოკოხილს კევრებში და შეუდგნენ ლეწვას.

კარგა მალა იყო მზე წამოსული, რომ ფაწღათ³⁾ საქცევ კალოდგან გამოუშვეს სიცხისაგან დალექებული საქონელი და საგრილებლად გარეკა პავლემ, განსვენებული გიგოს უფროსშია შვილმა, სახლის ცოტა მოშორებით ტირიფებს ქვეშ, სადაც განგებ დაგუბებული იყო საქონლისათვის სოფლის მდინარე. უღლიანი კამერები მაშინვე გუბეში ჩაეყარნენ, ხარები-კი ფეხზე იღგნენ.. კალოს უქციეს. მეკალოვეებმაც პატარა შეისვენეს.

1) ხოდაბუნი არის დიდი სახნავი მიწა.

2) კაბდო არის კალოს მოსაწმენდი ფიცარი, რომელიც ფარცხს წინადამა აქვს მიკრული.

3) ფიწალი არის თითებიანი ნიჩაბი.

შემდეგ გაგრილებული საქონელი მორეკეს, შეაბეს კევრებში და დაუწყეს ხელახლად პურს ლეწვა. თუმცა ბერო არა სცემდა იმ ულელ ხარ-ზაქს, რომელსაც თითონ ედგა კევრზედ, მაგრამ იმის რიხიან ხმას, სახრის დაქნევას და მათ ზურგზედ ხელის გულის წაკვრას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ორმა და მერცხადა მაშინვე სირბილით შემოუვლიდნენ ხოლმე კალოს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო წინაობას. საზოგადოთ ბეროს ძრიელ ეჯავრებოდა პირუტყვის ცემა, რადგანაც ის თავის ცხოვრების გზას მათში ხედავდა. დინჯის ნაბიჯით და სმენად გადაქცეულნი მხოლოდ მაშინ დადიოდნენ ბეროს ხარ-ზაქები კალოში, როცა ის ტკბილის ხმით ჰოროველას დაპოლინებდა:

„პიროველა მარცვლით სავსე თავ-თავ ჩაშლილ კალოსა, პური პატრონს, ბზე პირუტყვ-საქონელსა; ღმერთო, ბარაქა მიე გუთნი-დედა, ალოსა და მარად გამარჯვება ჩვენ ტანჯულ სოფლელებსა!“...

მინამ ჩაშლილ თავ-თავს ნიჩბით საქცევს გაპხდიდნენ და სრულიად ბზედ აქცევდნენ, რამდენჯერმე კიდევ გამოუშვეს საქონელი საგრილებლად. მზე დაეხარა. სიცხის ბული ნელდებოდა. გამოუშვეს საქონელი და პავლებ მეორე დილამდინ ჭალებისკენ გარეკა. საქონლის გამოშვებისავე საბძლიდან გამოიტანეს არნა-დები, მოუსვეს გალეწილ პურს და შუა კალოზე ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდინ ააგროვეს. ივანეს ცოლი, სამი რძალი და ორი გასათხოვარი ქალი დარჩენილ ბზის მტვერს და პურს აფვიდნენ ცოცხებით ორსავ მხრიდან აგროვებულ პურს, რომელსაც აღმოსავლეთის მხრიდან, რადგანაც ნიავი დასავლეთიდგან იყო, მოუწყეს მთელ სიგრძეზედ ხალხები¹), რომ განიავებული და გასანიავებელი ბზე ერთმანეთში არ აპრევოდათ. ჩაუმწერივდნენ გალეწილს პურს დასავლეთის მხრიდან ივანე, ბეროს შვილი

¹) ხალხა არის კაკლის საბლერტი გრძელი ტოტი (ჯობი).

ვასო და ოედო და ნიკო ივანეს შეილები, თავზედ ხელსახოც წაკრულები, რომ ბზით თმა არ აქმსოდათ და ცაცხევის ხის სუბუქი ნიჩქებით დაუწყეს ბზეს განივევდა. კუმშად მაღლა ასროლილ ბზიდან წყნარი ნიავი საამურად არჩევდა ხორბალს, რომელიც შესულით ეცემოდა ძირს და წითლად იფინებოდა დარაკრაკებულ კალოს ნახევარზედ; მეორე ნახევარი-კი ბზემ გადალესა ოქროს ფრად. ქალები მაღ-მაღ გადაუსურავებდნენ ხოლმე ცოცხით ხორბლიდან ჭელას¹⁾. როდესაც ნიჩქები მოჰვედა ხალხებს, განივევდის გათავების ნიშანი იყო. ხალხები თავის ადგილას შეინახეს და ხორბალს აგროვება დაუწყეს.

ჯერ ახლად შებინდებული იყო. გაბადრული მთვარე ცეცხლის ფრად გამოიჭვრიტებოდა კაცლის ტოტებიდან. პირველად კალოზე მოთამაშე ბალლმა შეასწრო მთვარეს თვალი და უცბად წამოიძახა: „უჟ, დელი, დედი, ვიღაცას სახლი იწვია!“ სხვა მოთამაშე ბალლები და დიდებიც-კი მოსტყველნენ ამ სიტყვებით, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ცეცხლი ახლად ამოსული ზაფხულის მთვარე იყო. ბალლებმა ისევ თამაშობა დაიწყეს; ზოგი სახრებზე გადაჯდა, ზოგი ფიტლებზე, ზოგს ერთ-ერთი მხარე სახრესი თუ ფიტლისა ხელში ეჭირათ და ისე ურბენდნენ კალოს, ვითომ ცხენებით დაჯირითაობდნენ, ზოგი ცალ ფეხზე კინკილით დახტოდა დაგვილ კალოზე და გაიძახოდა:

„ას კინკილა, კინკილა, დღეს შაბათი, ხეალ კვირა!“ მას მისდევდა უკან მეორე და იმეორებდა:

„ას კინკილა, კინკილა, დღეს შაბათი, ხეალ კვირა!“.

თუმცა შაბათი არ იყო, მაგრამ იმათთვის სულ ერთი იყო, რა დღეც უნდა ყოფილიყო.

ჯერ ისევ დღის შუქი ეხიდებოდა და ეწინააღმდეგებოდა

¹⁾ ჯელი არის გაულეწავად დარჩენილი თავ-თავის ნაწილები, რომელსაც სიძძიმის-გამო ნიავი ხორბლიდამ ვერ არჩევს.

მთვარის შუქს, მაგრამ, რამდენიც მთვარე ზევით და ზევით ცის
სივრცეზე ამოცურდა, იმდენი უფრო მშვიდი ბუნებრივი ფერი
მიიღო და პატარა ხნის შემდეგ გამარჯვებულმა კიდეც გაა-
კაშაშა მთელი არე-მარე.

ბერომ და ივანემ ნიკოს დახმარებით ხორბალი ჯერ ცხავ-
ში გაატარეს და შემდეგ დაუწყეს ნიავე გასკვება¹⁾. თელო და
ვასო-კი არნადებით ბზეს ხვეტავდნენ საბძელში.

თეთრ წინდებზედ ჩატმული თაღათინის²⁾ ქალმები, განიე-
რი, აბრეშუმის შავ პაჭიკებში ტოტებ ჩატანებული ლურჯი
შალვარი, პაჭიკებზედ შემოკრული აბრეშუმისვე ფოჩებ დაკი-
დებული ჩახსაკრავი ნაბეჭდი სიტყვებით:

„ვარ ჩახსაკრავი ნაქსოვნი სასამსახუროდ ლომისა,
პატარძლისაგან მოძღვნილი ბერო შრომელაშვილისა,

ვინც შე პატრონს მამაშოროს მას გაუწყრეს პირი ლვთისა“,—
მოლურჯო ახალუხი, მუქი წაბლის ფერი ჩოხა და შავი თუ-
შური ნაბდის ქუდი, თითქოს რალაც სიმამაცეს უმატებდნენ
ჭეროს, რომელიც გახარებული დასტრიალებდა დარაკრაკებულ
კალოზედ დაგროვილ სისხლის ფერ პურის ხეავს.

მანამდის პურს სრულებით შეზიდავდნენ ბელელში, ვახ-
აზამის მზათ იყო. თელოს ცოლმა სუფრა გაშალა. მწვანე
ხახვასი კიტრებით, სხვა და სხვა მწვანეულობით, თეთრი პურე-
ჭითი და სველ-სველ ხელადებით შემოსილი და შეა კალოზედ
გაშლილი სუფრა მთვარის შუქზედ სასამოვნო სანახავი იყო.
პატარა შესვენების შემდეგ ყველა ხელები დაიბანეს, ოცამდინ
ძული შემოუსხდნენ სუფრას გარს და დაიწყეს მადიანად ვახშ-
მის შექცევა. ვასოს ცოლმა ხელ-და-ხელ ჩამოარიგა ჯამებით
ერბო-კვერცხით შენელებული ნედლი ჰადმის პირულა ლობით

¹⁾ ხორბლის განივებაა ნიჩბებიდ: ქუთავისის საა საა.

²⁾ თაღათინი არის მოქნილი სამოველნუ-სახემე. ტყავი.

და შემდეგ თითონაც მიუჯდა გვერდით თავის ქმარს. ვახშის შემდეგ გაშალეს ლოგინი ზოგი კალოზედ და ზოგიც სახლის დერეფნის ქვეშ და მიეკნენ ტკბილს ძილს.

ლამის ნიავი საამურად ევლებოდა თავს დაქანცულ მეკალოვებს და მეტადინეობდა, რომ სიცხეს არ შეეშალა მათთვის ტკბილი ძილი. მთლად არე-მარეც რაღაც უსულოდ გადაიქცა და აქა-იქ მარტო ჭოტის ხმა, ძალლის ყეფა და წკავ-წკავი-ლა ისმოდა.

შორს, კავკასიონის მთის წვერიდან, მთვარის ჩასვლისავე თავი ამოჰყო კაშპაშა ცისკარმა¹⁾ და მოპფინა ნათელი ლაუვარდ ცას. მაღლიდან შეტერი თითო-ოროლა ვარსკვლავი ემშვიდებოდა მტრედის ფერ ცას და სანთლის ალის შეგაესათ გაგრძელებული მოეშურებოდა დედა-მიწისკენ მოსასვენებლად. მამლებმა გააბეს განუწყვეტელი ყივილი, ბატებმა და იხვებმა მორთეს საქათმეში გაბმითი ყიყინი, თითქოს სცდილობდნენ პატრონს ძილი დაუფრთხონ, რაღანაც ღრო იყო საქმის შედგომისა. მართლაც მათ ყველამ თავის დროზედ გამოიღვიძეს და შეუდგნენ ძნის ჩაშლას.

კარგა ხანი მოუნდნენ შრომელაშვილები სანამ ფრთა-მოქცეულებს და საბძელში დადგმულ ძნას სულ გაპლეწავდნენ. ბელელი და კალოს პირზედ თვალ-ჩაუწვდენ ელი ორმოები სულ დაამსეს პურით. სიმინდ-ლობიოს მოსავალიც კარგი ჰქონდათ: პირველის უხვებას ამტკიცებდა ფრთა-მოქცეულებივით დადგმული სიმინდის ფუჩეჩი და თვითონ სიმინდით გამოტენილი სასიმინდე, რომელიც, მაღლა ბოძებზედ შეეცნებული, გუმბათივით მარანს და სახლს დასკუეროდა ზემოდან; მეორისას-კი—სახლში დამწკრივებული სავსე კოდები.²⁾

¹⁾ ცისკარი არის დილის გარსკვლავი.

²⁾ კოდი არის გამოფულურული სქელი ხის პურპელი, რომელშია რადის რვა თუ მეტ-ნაკლები საწყალ კოდი.

არც ლვინის მოსავლის იმედი ჰქონდათ გაცრუვებული. ხელოვნურად და ერთგულად შემუშავებული ვენახები თითქოს უფასებლნენ მათ შრომას. როგორც კარის ვენახს, ისე ბითანასას¹⁾ ერთი-ერთმანეთზედ უკეთესად ესხა. განა ამ ვენახების მეტს კიდევ რასმეს წახავდა სასიამოვნოს კაცის თვალი? ერთი მტევანი რომ შეგეჭამათ, მომეტებული სიტყბოსაგან ყელი ამოგებლანწებოდათ. რამდენიმე მარცვალი რომ გაგესრისნათ ხელში, ხელის თითებს ვეღარ მოაშორებდით ერთმანერთს და თუ დააშორებდით—სიტყბოს ძაფები გაიბმებოდა თითებს შუა..

ვენახში, შიგა და შიგ, სხვა და სხვა ხეხილიც იღგა. ატმებს ქვეშ რომ გაგველოთ, თითქოს სიბრალულით შემოგცერიან ბალახებში ჩამოცვივნული მწიფე გავაზური და სხვა სახრავი თუ საპობი ატმები და გეხვეწებიანო: „ამკრიფეთ, ნუ მალპობთ, ეხლა თუ არა, ზამთარში მაინც გამოგადგებითო,“ მაგრამ პატრონები მათ ხვეწნას ყურს არ უგდებდნენ, რადგანაც ისინი მათ ჩირვას და მხეზე გახმობას ვერ ასლიოდნენ...

რთვლის წინა დღეს, თავის დროზედ დარეცხილ ქვევრებს, კიდენ ამოავლეს წყალი. ვასომ და თედომ დილითვე ჩაასხეს რუვის ან კარა წყალი ურმიან ქვევრებში, შალვრების სინაბარას ჩავილნენ შიგ და დაუწყეს ქვევრებს კრაზანით²⁾ წყლის ამოვლება. ქვევრებიდან სიმღერის, კრაზანის ქვევრებზედ შრიალის და წყლის კყაბა-კუუპისგან ისეთი უკნაური ხმა ამოღიოდა, რომ რაღაც უზარ-მაზარ ცხოველის გვრგინვას ემსგავსებოდა. უცხო ქვეყნის ვინმე რომ შესულიყო იმ დროს მარანში, ელდანაცემი მიიხედ-მოიხედავდა და, როდესაც ვერავის დაინახავდა, გარეთ გამოვარდებოდა. წვრილი, სარცხით დარეცხილი, ქვევრე-

¹⁾ ბითაანს უწოდებენ სოფელ ახმეტის ერთ განაპირა ნაწილს. ახმეტის ბითაანის ღვინო განთქმულია.

²⁾ კრაზანა—ყვითელ ყვავილიანი და ლერო-მაგარი ბალაზია.

ბი ღვინის გადასაღებად იყო დამზადებული. ნარეცხი წყალი ამ ქვერებიდან წმინდათ იყო ამოწურული საპირის¹⁾ შემწეობით.

მეორე დღისთვინ შეტყობინებული შრომელაშვილების სა-გვარეულონი და მეზობლები შეიკრიბნენ, ზოგნი ვენახის კა-რებთან და ზოგნიც დერეფნის ქვეშ. ზოგს კალათა ეჭირა ხელში, ზოგს ხოკერი, ზოგს კასრი და ზოგსაც გოდორუურთ. ²⁾ დღიდით პატარამდინ შეესივნენ კარის ვენახს და დაუწყეს ყურ-ძენს კრეფა, ერთი უივილ-ხივილით და მხიარულობით. აქა იქ ვაზის და ხეხილების ძირებში იდგა ყურძნის საზიდი გოდრები, რომელშიაც ხელის ჭურჭლილანა სკლიდნენ და კრეფილ ყურძენს. ცხრა ადლიანი ნავი მთელი მარნის სიგრძეზედ იყო ჩადგმული; თავსა და ბოლოს ეს ნავი სიგანით ადლ-ნახევარზედ ცოტა მე-ტი, თორებ ნაკლები არ იქნებოდა და სიმაღლეც შესაფერი ჰქონდა. ნავის მნახველი მაშინვე იმ თელის ხის ნახვას ინატრებდა, რომლიდანაც ნაცი იყო გამოყვანილი. ნავს ძირზედ თავისივე ხილები ჰქონდა გამოყვანილი ლასტების გასაწყობად; ლასტებ-ზედ, რომ დაწურვის დროს ტკბილს ჭაჭა არ გაჰყოლოდა, და-ფენილი იყო ჩადუნას ფოთოლი.

თუმცა შრომელაშვილებს შუადლისას სადილი მზათა ჰქონ-დათ მერთვლებისთვინ — თხის ხორცი კოშშით გაკეთებული და დეკეულის ხაშლამა, მაგრამ ქარვის ფერ ბუდეშურის, რქა-წითლის და მშვანის კუუხლებმა და მარცვლებმა ისე დაუკარგეს მათ მაღა, რომ ნახევარ ხალხს სადილი არც-კი მოჰვინებია.

ჯერ ისევ ადრე იყო, რომ რთველი გაათავეს. პირველად ბალლები გამოცვილნენ ვენახიდან აკიდოებით; მათ გამოჰყენენ დედა-კაცები და კაცები. ზოგს ჩები ³⁾ ეჭირათ ხელში და ზოგს

1) ხაპირი — გოგრის ჭურჭელია.

2) გოდორუური — პატარა გოდორია მსუბუქად მოსახმარი.

3) ჩხა არის ყურძნის მტევნებით სავსე ტოტი.

დარჩეული საჯავნე ყურძნით საესე კალათები და ხოკრები. კაცებმა მოიყარეს თავი მარანში; რვა მათგანმა გაიხადა ფეხთ, თეძოებამდინ აწეული შალვარი დაიბეს სარტყელზედ ბაწრით, დაიბანეს ფეხები, ჩადგნენ ყურძნით საესე ნავში და დაუწყეს წურვა. პირველად წვრილად დაიწყო ტკბილმა დენა, ცოტა ხნის შემდეგ-კი იმისთანა ჩქაფა-ჩქუფით წამოვიდა ნავილან, რომ თუ ნავის ხერელის ქვეშ ღარის ნაპირები თიხის ალიზით არ ეყმალებინათ, უთუოდ ნახევარი ტკბილი დაელვრებოდათ. ურნიანი ქვევრიდან ამოისმოდა განუწყვეტელი ჩხრიალი. საჭა-კეთ გაიხსო თუ არა პირველი ქვევრი, ტკბილი მეორე ქვევრ-ში მიუშვეს.

მეორე დღეს ბითაანის ვენახის ყურძნის კრეფას და წურვას შეუდგნენ. ყურძნით საესე გოდრებს ურმით ეზიდებოდნენ, რადგანაც სახლზედ კარგა მოშორებით იყო ეს ვენახი. დაწურვი-სავე ჟველა ქვევრებს ზომიერი დედა მისცა ბერომ და დანარჩენი ჭაჭა-კი ერთ ქვევრში შეინახა. ტკბილის დადუღების და დალვინების შემდეგ ბერომ ჯერ ზედაშის ქვევრები აავსო ღვინით ალავერდის, თეთრი გიორგის და შუამთის¹⁾ სახელობაზედ, ხოლო დანარჩენი სხვა დამზადებულ ქვევრებში გადაილო.

IV.



რომელაშვილებს თავ-თავის დროზედ არც ღვთის თაყვანის ცემა ავიწყდებოდათ. მუდამ წელიწადს მიღიოდნენ ხან თეთრ გიორგის, ხან ალავერდს და ხან-გამოშვებით სხვა ეკკლესიების დღეობაში. ასე იყო ახლაც: ალავერდობის

¹⁾ განთქმული სალოცავებია კახეთში.

დღისთვინ შეაბა გასომ დაბარგებულ ურემში ყევარი ხარ-კამ-ბეჩი, ჩასხა შიგ სახლობა და გაუდგა ალავერდის გზას. ბერო და ივანე ურემს ცხენებით მისდევდნენ უკან და უჩმის ბოლოზედ გამოპმულ კურატს ხან ერთი უჯავრდებოდა და ხან მეორე, რომ ურემს ფეხ და ფეხ მიჰყოლიყო.

მანამ ალაზანს გავიდოდა და ალვნის მინდვრებს გაუდგებოდა, შრომელაშვილების ურემი შეუერთდა სხვა გადაჩარდახებულ ურ-მებს, რომლებიც გამწკრივებულნი იგრეთვე ალავერდისაკენ მიდიოდნენ. საღილობა გადასული იყო, როცა მლოცველები ალავერდს მივიღნენ. ვასომ შეაყენა ურემი ეკულესის დასავლეთის მხრით ერთი თუთის ხის ქვეშ; გადარეკა იქვე მინდორში საქონელი და დაავალა რეზოს და გიგლას, რომ ყური ეგდოთ, თითონ-კი ბარეს დაუწყო ჩამოლაგება ურმის ბოლოსთან გაშლილ ფარ-დაგზედ. სხვათა ბარგთა შორის იყო ღვინით სამსე ტიკიცი: ეს ღვინო იყო ამოლებული იმ ზედაშის ქოცოდან, რომელიც შარ-შანდელი მოსავლიდან დააყენა ბერომ.

მოხუცებულებმა, სალამოს ლოცვა და მეორე დღეს წირვა გულის წმინდით მოისმინეს და ეხვეწებოდნენ ღმერთს ქვეყნის შშეიდობიანობას; ვასო-კი მოუთმენლად ელოდდა წირეის გა-მოსვლას და ჩვეულებრივ თავადა-აზნაურობისაგან კიდაობის გა-მართვას, რადგანაც უფრო საფალავნოდ იყო წამოსული.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ზურაბ, ისე ჩემი გაჩენა არ გამ-ხარებია, როგორც შრომელაანთ ვასოს ნახვა გამიხარდა იმ ხალხში, —ეუბნებოდა ჭიდაობის დაშლის შემდეგ თავადი ვანო გულადაძე ერთს თავის შევობარს. —მოვკარი თუ არა ხალხში თვალი, მაშინვე დავბლუჯე; გულით მინდოდა კიდევ მენახა იმისი ფალავნობა და უთხარი თუ არა — აბა, ვასო, დღეს უნდა მისახელო მეთქი, მომიბრუნდა ლიმილით და მითხრა: მისახელე-ბიხარ და კიდევაც გასახელებო...

— მე ვიცი გაგექცეოდა ო,— მიუგო ზურაბმა; — რა და-

ჭერა უნდოდა, მგონი თითონვე ნატრობდა, ნეტა ჭიდაობა გა-
მისახელოს ვინმეო; არ ვიცი იმისი ხასიათი: ჭიდაობას რომ დაი-
ნახაშს, გაციებულივით ძაგძაგს დაიწყებს ხოლმე.

— ჩემი თქმა იყო, ზურაბ, და იმისი გატიტვლება: ხელად
დაიხადა ქალმები, ჩოხა-ახალუხი და პერანგი, ჩაიცო ტიტველა
ტანზედ მარტო ჩოხა, შემოიკრა ქამარი, შემოიკალთავა და დამ-
კლავებული, შშველივით გადაერია განში და დაიწყო თამაშობა.
ძმობას გეფიცები, ზურაბ, რომ ერთი იმისი გასვლა დაარწმუ-
ნებდა კაცს, რომ გამარჯვებული დარჩებოდა; იმის ჩასხმული
ტანი, თეთრი, ბალნით მოსილი მკერდი, მსხვილი წვივები, ძარ-
ღვიანი მკლავები და მოცინარი სახე ხომ აშკარად ამტკიცებდნენ,
რომ მტერს გმირულად დაუხვდება. დაინახა თუ არა ვასომ
მოწინააღმდეგე, პირიქითელი ფალავანი, ფიცხლავ შემოუტრი-
ალდა და გაექანა იმისკენ; თუმცა პირიქითელსაც ვაჟააცობა
ეტყობოდა, მაგრამ გალალებულმა ვასომ ხელის ჩავლებისავე,
ერთი ორჯელ დაიბლერტა, უგდო კისრული და ისე გაშალა
წინა, როგორც საქალმე შოლტი. გალახვისავე შექნეს კიუინა
და დაიძახეს: „გაუმარჯოს, გაუმარჯოს ახმეტელს! გაუმარჯოს
შრომელაშვილსო!“

რამდენიმე ხელი ჭიდაობა კიდევ იყო იმის შემდეგ, ნეტა
იმათვეინ მაინც გეყურებინა, ზურაბ!

მეტის მეტი ლხინით გაატარეს მლოცველებმა მთელი დღე;
ერთი მხრიდან რომ გლეხკაცები სუფრულს მლეროდნენ, მეორე
მხრიდან დაირის და მუზიკის ხმა მოისმოდა, ცოტა მოშორებით
კიდევ, მწვანე ფანჩატურებიდგან, გამოისმოდა კახური მრავალ-
უამიერ და შიგა და შიგ სადლეგრძელოების დროს ტუშის ცემა;
ფანჩატურს ქვეშ ქეიფობდნენ ვანო და ზურაბი თავისი მეგობრე-
ბით. ფანჩატურს იქით ერთი სოფლის გლეხ კაცებს მოყყარნათ
თავი, სათამაშო სიმღერას მლეროდნენ და ზედ ტაშს აყოლებ-
დნენ; ხან თითო და ხან ოროლნი გადმოდიოდნენ და, თითქოს

შეჯიბრებულები, თამაშობდნენ. დროებით გამართული დუქნიდან გამოისმოდა არლნის ხმა და მოქეიფების ყაყანი; ესენი იყვნენ თელაველი დახლიდრები. ჯერ კიდევ დღე იყო, როდესაც ათი ათასობით კაცმა და ქალმა დასტოვეს ალავერდის მინდვრები...

V.



ოვლით თეთრად გადაპენტილი კავკასიონის მთის წვერები მარმარილოს სვეტებივით მისცემოდნენ ლაუვარდ ცას. ჩრდილოეთის სუსხიანშა ნიავმა მეტად ცუდათ იმოქმედა ბუნებაზედ და დროებით მისცა იგი ძილს. ორსავ მხრივ მთებიდან შევად არუელული ხეები ნეტარებით დასცეკროდნენ სოფლებს, რომლებსაც ჯერ კიდევ სიცოცხლე ეტყობიდათ, მაგრამ იმას-კი აღარ კითხულობდნენ, ნეტარებისა იყო ეს სიცოცხლე, თუ მწუხარებისა. მზემაც მოაკლო თავისი სიცხლელე მიძინებულ ბუნებას, თითქოს იმიტომ, რომ არ დათენ-თილიყო, ძარღვებში არ მოშვებულიყო და გამოღვიძებისავვ მხნედ შესდგომიდა თავის აყვავებას. არ იყო მოკლებული მზის სითბოს მხოლოდ მყუდრო აღგილები, სადაც გამოღიოდნენ მოსახლენი და ერთმანეთთან ლაპარაკში და ხელსაჭმეში ერთობოდნენ.

შრომელაშვილებს საუკეთესო მყუდროდ ჰქონდათ ამორჩეული საძნის წინა კედელი, კალოს პირას, სადაც ხშირად უფრო სადილს შემდეგ, გამოღიოდნენ ხოლმე.

ერთ დღეს ბერი მარტოკა იჯდა მყუდროზედ და თავისთვინ ქალმებს ასხამდა. მზე ერთი შუბის ტარზედ-ლა იქნებოდა, რო-

დესაც ივანე მოუჯდა ძმას და მწუხარების სახით დაუწყო ლაპარაკი:

— თქ, ღმერთო ჩემო, რამდენი უსამართლობა ტრიალებს ამ ჩვენ სოფელში და რამდენ ვაი ვაგლახს ვეწევით ჩვენი ცხოვ-რების გულისთვინ: გუშინ წინ ჩამოეტანათ თუ არა საწყალი პავლე ორბედაშვილი ტყიდან, მაშინვე შესდგომოდნენ სამარხის თადარიგს. ჯერ გაეგზავნათ მღვდელთან კაცი, რომ მეორე დღეს ასულიყო დასამარხად, მაგრამ იმას უარი შამოეთვალა; ამდგა-რიყო და თითონ ნიკო ჩასულიყო. გულ-ხელ დაკრეფილი მწუ-ხარე კაცი თურმე რამდენს ეხვეწა მღვდელს—ძმა დამიმარ-ხეო, მაგრამ ის იმის გარემოებაში არ შესულიყო; იმის მაგირ, რომ გამოეკითხა მიზეზი უეცარი სიკვდილისა და ნუგეში ესა გამწარებული ძმისთვინ, მღვდელს ერთი ალიაქოთი აეტენა და ლანძღვა დაეწყო. შარშან საწყალს, რომ ცოლი მოუკვდა, ცო-ტა რამ სამარხი დარჩენოდა მისაცემი და ის მეეგონებინა,— მა-ნამ ძველს და ახალს სამარხს არ მამიტანო, მე შენი ძმის დამ-მარხავი არა ვარო, თუნდ მატლიც დაეხვიოსო. გამოიროტებულ კაცს გამოევლო პეტრუზასკენ და იმისთვინ შეეჩივლა ყველა თავისი გაჭირვება. ღმერთმა უშველოს, ისევ ის შესულიყო საწ-ყალი კაცის გარემოებაში: ნისიებს გარდა, კიდევ ერთი თუ-მანი მიეცა იმ პირობით, რომ წლის თავზედ ერთი თუმანი ჩეე-ბარებინა და რვა კოდი პური სარგებელში. ნიკო მაშინვე უკან დაბრუნებულიყო და ლვდლისთვინ სამარხი მიეტანა. უჟ! ან-კი რო მცოდნოდა, რომ ისეთი საზარელი სანახავი იყო საწყალი კაცი, სწორედ რომ არ წავიდოდი: ხე ზედ მკერდზედ და თავ-ზედ დასცემოდა და ისე გეეჭყლიტნა, რომ ხელებზე და ფე-ხებზე თუ-ლა იცნობდი, რომ ადამიანის გვამი იყო, თორემ სხვა იმას კაცის სახისა აღარა ეტყობოდა-რა. საწყლის სიკვდილს უბრალო შემთხვევას აბრალებენ: იმას რომ შარშანდელი ვალი სულ მოეშორებინა, ის დღესაც ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ

საწყალი თავისი უბედურობის გამო სულ ვერ გასწორებოდა პეტრუზას და ამასაც საყვედური ეთქო. ამ საყვედურზე თურმე რაღაც ძალას დაემორჩილებინა, საწყალი კაცი სრულებით უძრავად გამხდარიყო, კრინტი ვეღარ დაეძრა; სწორედ ამ დროს, სოსია მონაშვილს პეტრუზა ფულის სარგებელში შეშის მოტანას სთხოვდა და პავლესაც პეტრუზას გულის მოსაგებად ეთქო: ნათლი! სამ ურემ შეშას კიდევ მე მოგარომევ იმ კვირიაო. პავლე, მართლაც, მეორე დღესვე შესდგომოდა შეშის მზადებას და თითონაც თან გადაჭყა საწყალი.

— ბევრი მაგისთანა უსამართლობა ტრიალებს აქ, ჩემო ივანე, მიუგო ბერომ. არც თომა ღვდლისგან არის მაგისთანა მოქმედება გასაკვირვალი, აი რათა, ყური დამიგდე! მაგის მამა, ნესტორ მოსიშვილი, დიაკონათ იყო ამ ჩვენ ღვთის მშობლის ეკკლესიაში. შუათანა ოჯახი ჰქონდა. სიკვდილის შემდეგ მას დარჩა ქალ-ვაჟი. ქალი უფროსი იყო და თომა უმცროსი. დედამ მალე გაათხოვა ქალი, თომას-კი პატარაობიდანვე დააწყებინა წერა-კითხვა და უნდოდა ისე გეევარჯიშებინა, რომ თავის ღრიზედ მამის ადგილი ჩაეგდო ხელში. პატარა მაიზარდა თუ არა და თავზედ ხელი მაისო, დედის სიყვარულს სრულებით ყურს აღარ უგდებდა, გაანება სწავლას თავი, აიღო ხელში თოფი და დაიწყო ნადირობა კურდლებზედ, ხოხბებზედ, მტრედებზედ და სხვაზედ; იმდენი ღმერთმა მე მიშველოს, რამდენიც მას ახლად დაბადებული კურდლის ბაჭიები დაერბლებინოს, მაგრამ უფრო მომეტებულ დროს-კი დუქნებთან ატარებდა; გლეხ-კაცებს გაპირების დროს შუამავლად უდგებოდა ვაჭრებთან და უკანასკნელების სასარგებლოდ სწერავდა ბარათებს და პირობებს ჯარიმებით; თითონაც მოწმად უდგებოდა, რომ ესა და ეს კაცი მოვალეა, რომ თავის ღრიზე ჩაგაბაროს თავნი და სარგებლიო. თუ ვინიცობაა რომელიმე მოვალე რაისამე გარემოებით ვაღაზედ ვერ გადიხდიდა ვალს, მაშინ მოვალე თომას სირცხვილ-

ში შეჰყვანდა, თითქოს თავდებად ის დასდგომიყოს, აცვლე-
ვინებდა ბარათს და ერთი თუმნის მაგივრად, რომელიც პირვე-
ლად ვალად აიღო ჯარიმით და სარგებლით, სამ თუმანსა სწერ-
და; ამნაირად ვალი ვალი ემატებოდა. სარგებელი თუმანზედ
რვა (თუ მეტი არა) კოდი პური სხვა იყო; სიმინდს, ლობიოს
ტკბილს და სხვას ამის კვალად იბრიდა. ალბად ვაჭრებიდან სარ-
გებლობა ექნებოდა რამე, რომ ისე ერთგულად ჩალიჩობდა.
ამისთანა უკულმართი ცხოვრებით თომაშ თავის თჯახს მაინც
ბარაქა ვერ მოჰკიდა. რასაც შოულობდა დუქნებშივე ჰარჯამდა.
ისე გამოიწნა შუაკაცობაში, რომ ვისთვინაც შაგეკვეონა, კისერს
მაატეხინებდა. მუშაობას სრულებით იღარ კადრულობდა. გა-
ბოროტებულმა დედამ ცოლი შართო: იქნება სახლს ხელი მოჰ-
კიდოსო, მაგრამ როგორლაც დუქნის დაზგისათვინ თავის
დანებება უძნელდებოდა. ბოლოს მაინც ცოლის და მოხუცი
დედის ჩჩევა მიიღო, რადგანაც თითონაც იგრძნო, რომ ამის-
თანა ცხოვრება საბოლოოოდ არ გამაადგებოდა და ეკკლესიის
მნათედ დადგა. ხან და ხან დიაკონს ეხმარებოდა ხოლმე და
ბოლოს-კი მაინც იმისი ადგილი ჩაიგდო ხელში. გაიარა რამდე-
ნიმე წელმა. ღვდელი ძრიელ მოხუცებაში შევიდა და გადაყე-
ნებას უპირებდონენ. ამ ნაირმა შემთხვევამ თომას აფიქრებინა,
რომ იმ დღიდანვე მეცადინეობაში შესულიყო და როგორმე იმ
მოხუცი ღვდლის ალაგი ჩაეგდო ხელში. თომას მიზანი მაშინვე
პირადი სარგებლობისა იყო და მარტო ცარცვა-გლეჯაზედ ექი-
რა თვალი. უფრო-კი იმიტომ მოიწადინა ღვდლობა, რომ ბდა-
ნებელი მამა გამხდარიყო და ჯიბებისათვინ განზედ გეეწივნა.
სწორეთ ღვდლის გადაყენების დროს თომა ქალაქში წავიდა და
რამდენიმე თვის შემდეგ ანაფორით მობძანდა ღვთის-მშობლის
ეკკლესიის კარზედ.

ღმერთო, ნუ მიწყენ-კი და არ ვიცი, რა გზით ჩაიგდო
იმან ეს ადგილი. არა! ღვთის წინაშე, გამოქნილი-კი იყო, და

აი ასე, ოდესშე შუაკაცი და ჩვენი სოფლის მწერალი, დღეს ჩვენი მამა და მოძღვარი გახდა.

იმდენი ღმერთმა ჩემ ჯანს უშველოს, რამდენიც მაგას უზიარებელი კაცი მეექლას! სულთ-მობრძანის პატრონი რომ მოვიდეს უდროვოდ და სთხოვოს, მამაო, ღვთის მადლის გულის-თვინ წამობძანდი, ავადმყოფი მიზიარეო, მითომ თავი შეიწუ-ხოს და წაჰყვეს! მე არ მოგიკვდე, რომ ადგილიდანაც არ და-იძრის.

— აქამდინ სად იყავ შე, წუწკო მატანტალაო,—შეუტევს საწყალ კაცს.

— ეხლა სად უნდა ვეხეტო ამ ღამეშიო, დილაზე ამოვალ და ვაზიარებო. კიდევ კარგი, თუ გასძლო ავადმყოფმა მეორე დღემდინ, თუ არა და უნდა გადაიცვალოს უზიარებელი. ან ჯვარის წერაში, ნათლობაში, თუ სახლის განათვლაში ისე როგორ იქნება, რომ, მანამ ძევლს არ გაინალდებდეს, იმან თავისი მოვალეობა შეასრულოს! სრულებითაც არა. ერთ დავიღარაბას და ალიაქოს აუტებს საწყალ კაცს. მითომ დავიჯვერო, რომ თომა ღვდელს არ ესმის თავისი მოვალეობა? განა იმისი მო-ვალეობა პირადი სარგებლობა არის, როგორც კერძო კაცისა? სრულებითაც არა! განა თავისი პირადი სარგებლობის გულის-თვინ უნდა დაივიწყოს შინაარსი ღვთის სიტყვისა—გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითაარცა თავი შენი!—რატომ ამ სიტყვებს არ გვიქადაგებს, რომ ამ სიტყვების გამგონმა ამოვიფხერათ გული-დან შეურის-ძიება და მტრობა? რატო არ გვარიგებს, რომ ეს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მიზანი, „ყველა თავისთვის“, ამო-ვიფხრად გულიდან და სრულებითაც დავიგიწყოთ იგი, რადგან არაფერ სარგებლობას არ გვაძლევს და როგორც ვხედამთ უფრო ვუძლურდებით და ბოლოს ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ამის-თანა მიმართულობამ დედამიწის ზურგთან გაგვასწოროს!? რა-ტომ იმას არ გვასმენს, რომ გლეხკაცობა ერთმანეთის ზრუნვა-

ში ვიყვნეთ, ერთმანეთს ძმურად ვუყურებდეთ, ისე ვირჯებოდეთ ერთი ერთმანეთისთვინ, როგორც ჩვენი თავისთვინ და ყველას ერთი მიზანი გვქონდეს სახეში, ის მიზანი, რომ ჩვენი ნაწვავ-ნადაგი ჩვენვე გვახარებდეს და არა სხვას, ჩვენი სიმღიდრით ჩვენვე ვარგებლობდეთ და არა სხვა?! იქნება იმას ჰეონია, რომ ჩვენი ერთობით მას დააკლდება რამე? მერწმუნე რომ არა! რომელი მრევლიც ლონიერია, ლვდელიც იმ მრევლისა ლონიერია. იმის სიმღიდრეს რაც არა მიემატება-რა, ხომ არა დააკლდება-რა! ან არა და ერთხელ შეძენილი სიმღიდრე რა საშვილიშვილოდ დარჩება! ბევრს უნახამ მღიდრის შვილი, რომ მამის სიკვდილის შემდეგ მშიერ-მწყურვალს და ტიტველ-შიშველს უვლია. ლვდელს შეუძლიან უძლური, ზნე და ხასიათ დაცემული მრევლი მამობ-რიული რჩევით და დარიგებით გაამხნეოს, ლვთის და კაცის სიყვარული ჩაუნერგოს გულში და ფეხზედ წამოაყენოს. რად უნდა ჰქონდეს ლვდელს მარტო თავის სარგებლობაზედ ზრუნვა, როდესაც მრევლიდან უველა საცხოვრებელით — სახლით, სასხლ-საჭმლით, ფულათ, შეშათ, საქონლით, და სხვა ყველაფრით უზრუნველია. რატომ თავის მოვალეობას, როგორც ეკუთვნის, ისე წმინდად არ ასრულებს?

არა, ჩემო ძალ! ჩვენ რომ გულშემატკიცარი პატრონი გყვანდეს, ასეთი დაბეხავებული-კი აღარ ვიქნებოდით. უპატრო-ნობის ნიშანი არალი ჩვენი მოხელეების მოქმედება? ხომ თითონ შენი თვალით უყურებ, რა ხეირსაც აყრიან, ვისაც დაიბრიყ-ვებენ! კარგი პატრონი, მე არ მოგიკვდე, მაგათაც ფრთებს შეაკვეცამდა.

მამასახლისს რომ ჰქითხო, რათ არი სოფელზედ ვალი? მოგიგებს: რა ვქნა, შენი კირიმე, ბევრი იმისთანა საწყალია სოფელში, რომ მეადიც-კი ენატრებაო, რა უყოთ, ხომ არ ჩა-მოვახრჩობთ! მაგრამ თავიანთი სარტის გულისთვინ ნაკლებ დღეს არც საწყალ კაცს აყრიან. ფოშტი ფულის, თუ სხვა .ბეგრის

გადასახადს, ერთი ორად ახდევინებენ. მოხელეები პირველად, თუნდა თვალი ადევნე სხვა დროს, იყიდე მწარბედაშვილს მიუკიფიან, იცინ, რომ ისეც ბედისგან ზურგ ნაქცევი, მათ მონაობას გაუწევს. კარგი, თუ იმ დროს მოსავალი ჩაკლებული აქვს, ან კიდევ შეხსედეს თავიანთ ღმერთს და ადროვეს; თუ არა და სად რა უნდა იშოროს ამ უდრიო-უდროს, როდესაც საწყალ კაცს ხელში არა უჭირამს-რა? რაკი მოსულნი დარწმუნდებიან, რომ იოკიძეს საშუალება არსაიდანა აქვთ, გულადათ შედიან იმის სახლში და იგრეც შიშმილით, თუ სხვა მრავალი გაჟირებით დაწილკებულ წვრილ შვილს, დაუწილკებენ, წამავლებენ ხელს რაც მოპხდებათ: თოფს, ქვაბს, ფარდაგს, ბარს, თოხს და მიარბევინებენ ღუქნისკენ, სადაც მცირედ ფასში აგირავებენ და იმასაც იქვე გამოპარჯავენ ერთმანეთის დღეგრძელობაში და გამარჯვებაში და შემდეგ ბარბარით გასწევენ თავიანთ სახლებისკენ. საწყლამა კაცმა-კი უნდა თავში ქვა იცეს, გირაოც მედუქნისგან თითქმის ახლის ფასად დაიხსნას და სახლემწიფო ვალიც გადაიხადოს. მემრე საიდან? რომელი თანხიდან? სოფელში ვინ რას მისცემს? უნდა ამოიჩიროს საწყალმა იღლიაში ჯოხი, ჭრეჯით და ხვეწნით ისევ რომელსამე მედუქნეს მიშმართოს, რომ მან მოსავლამდინ გადასახადი ფული ასესხოს. მედუქნესაც მითომ გული ეწვის და განაზებით ფუბნება: „რას იზამ, ჩემო ძმავ! ხემწიფის ვალს გადახდა უნდა, იღბალი გქონია მე და ჩემთა ღმერთმა, რომ ეხლა მოხელი, თორებ პატარა სნის შემდეგ გროში რომ გეთხოვნა, გროშს ვერ მოგცემდი, იცი? თელავში ბიჭსა ვგზავნიდი სავაჭროთ, აა!—იმას რა ენაღვლება, თუ სახემწიფო ფულთან საწყალს მოხელეების გასატყრომიც ვალად აქვს გამხდარი. სამი თოხი თვის განმავლობაში ერთ თემანში აძლევს იმოდენა სარგებელს, რომ თავის დროზედ გაიყიდოს ეს სარგებელში მიცემული პური, ტკბილი თუ ღვინო, ქერი, სიმინდი თუ ლობიო, თავნის ერთი ორად

და სამათაც გადააჭარბებს. თუ მოხელეებს მეეგუნებათ დროს გატარება, უგირიათაც ქეიფობენ ხოლმე საწყალი გლეხეკაცის ხარჯით, ან რა საჭიროა იმ დროს გიჩაობები! რომელი დახლო-დარი ეტყვის იმათ ქეიფზე უარს, როდესაც მთელი სოფლის ბატონები ისინი არიან!..

ღმერთმა ყველას შშვიდობა მისცეს, ჩემო ივანე, და ამ შედუქნებს, რომ მოგვაშორებდეს ვინშე, ამაზედ მეტ სიკეთეს თავის დღეში ვერას დასთესამდა. აი ის კაცი იქნებოდა ჩვენი ნამდვილი მამა. რა გავიჩირებაშიაც დღეს გლეხეკაცობაა, სულ ამ ვაჭრების ბრალია. ჩვენისთანა სათნო, უმანკო და კეთილი გუ-ლის პატრიონ ხალხში ამათთანა ლრძო გულის, მეზობლის შე-უბრალებელი და გაიძვერა კაცი-კი არ უნდა ტრიალებდეს, იმისთანა კაცი უნდა ტრიალებდეს, რომელიც თავის თავს არ ეკუთვნის, ეკუთვნის სოფელს და ერს, რომელთა შორის დაბალე-ბულა და ოღზდილა. მაშინ მეტწმუნე, ჩემო ივანე, რომ ჩვენი ტანჯვა-წვალებით და ოფლით მონაგარი სიმღიდრე, ჩვენ საკე-თილდღეოთ იქნებოდა მოხმარებული, არც სათხოვრად გვიქ-ნებოდა საქმე გამხდარი და ყველა მამული შვილს, როგორც ეკუთვნოდა, ისე ვცემდით პატივს. ბოლმა მკლავს, როდესაც მართალს და გულით და სულით წმინდა კაცს, რომელსაც თითქოს ლმერთი გვიგზავნისო, ამ სოფელში მშეირსა ვკლავთ იმიტომ, რომ ჩვენი ტარუა-გლეჯა არ შაუქლიან და მარტო ჩვენ კეთილ დღეობაზედა ზრუნავს. იქამდინ არ ვაულით, რომ მან თავისი ლვთიური გრძნობით დაიმსახუროს იგეთივე უურადღება ქვეყნისა, როგორიც დაუშასხურებია ერთსა და ორს ჩვენი ქვეყნის შვილსა.

აი კუდი სად მეწვის, ივანე, შენ თითონ მიჰხვდები. თავ-დაპირველად პეტრუზა რო ახმეტაში ჩამოვიდა, რა ქონების პატრიონი იყო, თუ გახსომს? როგორც გუბე ზღვასთან არ შეედრება, ისე პირველი ქონება ჩვენი პეტრუზასი მის დღევან-დელ ქონებასთან არ შეედრება. მაშინ პეტრუზა შიშველა ფე-

ხით და დაგლეჯილ-დაფლეთილი ატარებდა—ლილას, კევს, ჩალაც წვრილ-წვრილ ლილებს, საპონს და სხვა. ისეთი აბანძული, ჩამომშემარი და ჟერ-მიხდილი დადიოდა, რომ იმის სიბრალულით კაცს თვალები წყლით გემსებოდა. დღეს-კი მაგის ქონება მთელ სოფელს აკვირებდს. მამულიც ბევრი შეიძინა. მაგის ბეღელში და მარანში მთელი სოფლის მოსავალი—პური თუ ღვინო შაინა-ხება; ალბად საჭიროდ ჰედავს, რომ ისეთი ფართოები წამოკიმა.

არა, ივანე, თვითონ ჩვენ რომ ვიფიქროთ, სად მიდის ამოდენა სიმდიდრე და მოსავალი სოფლისა? მოსავლის ჩაკლების დროს ყველა გლეხ-კაცი მაღლობელია ღვთისა, ზამთრის პირში-კი დუქნის დარაბებთან ატუზულა გლეხი და ელჩიჯება გადაღმიელ მეღუქნეს, მიშეველე რაშე, შენი ჭირიმე, ცოლშეილი მშიერი მიწყდებაო!

ვისი ბრალია ახლა? საჭიროებისა და უპატრიონობისა, ჩემო კარგო! დედაკაცს რომ ერთი ორ შაურიანი თაეზედ მოსახვე-ები მოუნდება, მაშინვე დუქნისკენ მირბის. ან რა ქას, თაე-შიშველა ხომ არ ივლის. მეტი ღონე არ არი, უნდა ნისიად წა-მოიღოს დუქნიდან ერთ კალათა ყუჩაწად, ან ჩარექა ღვინოდ. ის-კი ალარ იყის საწყალმა დედაკაცმა, რომ პეტრუზას კალა-თა და ჩარექი როგორმდინ გოდორულრად და ჩაფიან დოქად იქცევა, რადგანაც რამდენათაც მეტ ნისის გამოიტანს დუქნიდან, იმდევნად მეტი უნდა გადაიხადოს. გულ-კეთილი და უხვი გულის გლეხი თავის წლიურ მოსავალს რომ თვალით დაინახავს, ულეველი წყარო ჰგონა; მაშინ ჩაფი—ჩარექად და კოდი ლიტ-რად ეჩვენიბა ხოლმე. და თითქოს ერთმანეთს ეჯაბრებიანო, ისე უმარჯვებენ მთელი გლეხ კაცობა ახალ მოსავალში პეტ-რუზას ბეღელს და მარანს. ან რა ქან, როდესაც ჩენი ბეგი უკულმა ტრიალებს. განა საქართველოს მიწა-წყალი, რომელიც სხვათა ქვეყნებს შორის, როგორც გამიგია, სამაგალითო მხა-რედ ითვლება, ჩენსაეით ბედურულ შეილს უნდა ჰქონდეს? ნუ-

თუ ჩეენი ქვეყნის ბუნების შესაფერ ტერიტორიაც ჩეენსაერთ და-ბაგრული გლეხკაცობაა? არა მეონია. ჩეენი დღევანდელი მდგო-მარეობა, კიდევ გავიმეორებ, უპატრონობის ბრალია.

მართლა! ამ უპატრონობაზეც მამაგონდა ის პირუტყვთა მფარველობა, რომელიც მე ქალაქში გავიცანი. აქამდის არ მით-ქვაშს შენთვის და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ეხლა გეტყვი, აბა ყური დამიგდე:

შარშან მაისში მამულის თაობაზეც, რომ ქალაქში ვიყავი სასამართლოში, ხომ ვერავერი გავარიგე: როგორც თელავში გადაგვიწყვიტა მოსამართლემ, ისე დამტკიცებულიყო ბორო-ტაძის სასარგებლოდ. იქნება იმ ოჯახ დასაქცევმა ვექილმა ისე-თი რამ წამართლინა მოსამართლების წინ, რომ ის გახდა მი-ზეზი ჩეენი მამულის წაგებისა, თორებ ღმერთია მოწამე და მთე-ლი სოფელი, რომ განსვენებულმა მამაჩემმა იმ მამულში სულ ათათ თუმნიანები ჩაუთვალა ხელში იმის მამას.

გაბოროტებული რომ დავბრუნდი უკან, ვარან ცოვის ქვიტ-კირის ხიდიდან მტკიცარში ვიყურებოდი. ხიდის ქვემო მხრიდან წყალი დონეთ მიდის და იმ დონეში მეთევზე ბადეს ესროდა; ი მარჯვენა დალოცვილი იმნაირად ვჰლიდა ბადეს, რომ სარქვე-ლივით ეხურებოდა წყალს. ბადეც, როგორც ეტყობოდა, კაი ხელით იყო ნაქსოვნი და კერძივით იყარგებოდა წყალში. მეთევზეს ცდამ ტყუილად არ ჩაიარა: მეორე სროლაზეც, დაბლერტა თუ არა ბადე, პატარა ხნის უკან რაღაუამ გაჲკრა; მაშინვე ვთქვი ჩემ გულში, რომ აი თევზი გაება მეთქი; ბადე ჯერ სულ მიუშო მეთევზემ და შემდეგ მძიმედ გამოცურება დაუწყო და ბოლოს სულაც გამოიტანა რიყეზეც. საბრალო ჭანარი, ესე სამი ციდა იქნებოდა სიგრძით, ბადეში გახვეული ხან თავს ანარუ-ხებდა რიყის ქვებზეც და ხან ბოლოს; გახარებული მეთევზეც ხან ერთ მხარეს მოუჯდებოდა ბადეს და ხან მეორეს თევზის გამთსახსნელად. მეთევზის ყურებაში სულ დამავიწყდა ჩემი

დარდები. ამ დროს რაღაც ხმაურობა მომესმა ხიდის ყურიდან; მოვბრუნდი თუ ას, ხალხის ჯგუფი დავინახე და მეც მიუახლოვდი, მაგრამ რომ პირდაპირ წმინდასულიყავ ის-კი ემჯობინებოდა.

ერთ მედროვეს თურმე კოჭლი, ფეხ-შახვეული ცხენი შეება დროგში, ზედ შესაფერი საპალნე დეველო და ბაზრისკენ მიჰქონდა. მედროვეს დაპატივეროდა ვიღაც სამსახურის კაცი, რომელსაც ხოკის მსგავსი შავი ქუდი ეხურა, ტანზედ ჩატა კალთებ შე-მოჭრილი და გულზედ, ორივ სახელოვებზედ და ბოლოზედ ორპირად ოქროს ღილებ დამწკრივებული სერთუკი; სერთუკ ქვეშ ნაბუქ თოვლივით გაყინული პერანგი, შავი შალვარი და დაპრიალუბული ფეხსატელი, დიდ თანამდებობის კაცს ამსგავსებდა. იმის, გაქუცული ქერა წვერით და დაწკეპილი ულვაშებით, მოსილს სახეს, რაღაც სიბრალული ეტყობოდა. შეეცნებინა მედროვე და ეუბნებოდა: „აეაღმყოფ პირუტყვს რათ სტანჯამო! აჲი შე ულმეროო, შენაო, როგორ უნდა ატაროს ამოდენა საპალნე ამ კოჭლა ცხენმაო!“ საწყალმა შეშინებულმა მედროვემ უთხრა: „პორჩენილი აქს ბატონო! ცოტათო-ლა კოჭლობსო; ეს ერთი კვირა სახლში მიბია; ამ ფეხის გულისთვინ გუშინწინ ნალბად-თან შევანდა, დავადალვინე; უკანასკნელი ნასესხი სამ ამაზ-უბალ-თუნი მივეცი; დღეს დავხედე, რომ უკეთა ჰქონდა და გამო-ვიყვანე ლუკა პურის საშორენელადა“... პირუტყვთა შემბრა-ლებელი მოუბრუნდა იქვე მდგომ ათის თავს და უბრძანა: — „ეს ცხენი აქ ახლო-ბახლო გამოუშვი საღმე და „პოლიციაში“ წაი-უვანე, მეც იქ მოვალო“. მედროვემ, არ ვიცი, ქართველი იყო, თუ სომები, უფრო-კი სომეხსა ჰევანდა, ან რა მეცითხებოდა, ვინ იყო, სულ ერთია, ორივენი ღვთისა და ერთი კაცის შვილები ვართ, პოზადა ქუდი და დაუწყო ხევწნა: „შენი პირიმე, ბატონო, ნუ მიზაპ მაგ საქმეს, ნუ ამააღამებინებ ჩემ ავაღმყოფს ცოლს ჩემ ლოდინ ში თვალს; ეს ორი კრირაა სველი ლუკა არ უნახამ თვალით,

ძებუთა შეილს ღაფლაერთა ვკუირპაშთ, ძილით მაინც გამოიკვებოსო; ორი უფროსი დედას შაპბლავიან — პური გვშიანი; მომეცი ნება, რომ პატრიონს ჩავაბარო საქონელი და სახლოსკენ გავეშლო: გეფიცები მაღალ ღმერთს, რო ეს ცხენია ჩვენი გამულ-დედული; მე უფრო გული მიკვდება ამისთვინ, ამის შემუტავნი ვართ ხუთი სული ადამიანი, როგორ არ უნდა გაუფიქილდე, მაგრამ რა ვქნა, აბა სხვა ცხოვრების გზა მიჩვენე შენი ჭირიმე და სულ შენი ფეშქაში იყოს ეს ცხენიო... მოვალეობის წმინდად აღმასრულებელი მიუბრუნდა ათის თავს და გაუმეორა: „ეხლავე შეასრულე ჩემი ბრძანებაო!“ თითონ-კი შამოატრიალა ხელში ჯოხი და გაუდგა გზას. ფერ-მკრთალი და თვალებ მორდვეული მედროვე მწუხარების სახით მიუბრუნდა თავის ცხენს და უთხრა: „შე, ოხერო! გომურში რომ მშეირი მომეკალი, ხომ არავინ მკითხამდა, — რად მოჰკალ ეს საბრალო პირუტყვიო...“

შეტო ყურება აღარ შემეძლო და მაშინვე წამოვედი. მე სრულებით ვერ მივხვდებოდი ამ ამბავს, თუ ჩემთან მდგომს კინ ტოს ყველაფერი არ ახსნა ჩემთვინ...

აბა, ჩემო მმაო, — მიუგო ივანე ბერის; — შენ გაიძახი უპატრიონონი ვართო, შამბრალებელი არა გვყავს. თუ კი იმოდენა ქალაქში იმ საწყალ კაცს პატრიონი არ გამოუჩნდა, ამ მიურუებულ სოფელში რომელი გულშემატკიცარი მოგიბანდება, ჲა?

— მაგას-კი მართალს ამობ, ივანე, — დალონებულის კილოთი უთხრა ბერიმ. მე მარტო ჩვენი თავი მეგონა უპატრიონო, მაგრამ თურმე ქვეყანაზედ ყველა საწყალი შტომის მოყვარე და სვინიდისიერად მოპოვებულ ლუკმის მჭამელი უპატრიონონი ყოფილა! რატომ არ დარსდება ქალაქში იმისთანა საზოგადოება, რომელიც პირუტყვის მაგივრად იჩისთანა შტომის-მოყვარე კაცი დაიფაროს გავირვებისაგან, როგორიც არიან ის ქალაქს

მედროვე და ჩვენი საწყალი მუშა გლეხ-კაცი! გაჭირვებული კაცის მფარველი საზოგადოება რომ ყოფილიყო ქალაქში, ის შედროვე თამაშად მიეკიდოდა და ან ცხენის სყიდვას სთხოვდა, ან კიდევ ფულს გამოართმევდა და თითონ იყიდდა ცხენს; მაშინ იმ ავალმყოფ ცხენსაც შვება მიეცემოდა და პატრონსაც, რომელიც წვრილ-წვრილად გადაიხდიდა თავის შრომით ვალს.

მე იმას კი არ ვამობ, ივანე, რომ იმ პატიოსან კაცს არ უნდა მიექცივნა ყირადლება ცხენისთვინა-მეთქი; არა, უთუოდ საჭიროა პირუტყვის ტანჯვასაც მიექცეს კაცის ყურადღება, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლა ულმერთოდ ექცევა კაცი პირუტყვს. აი, მაგალითად, ჩემი ერთი ულმერთობაც გიამბო:

ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, რომ ერთმა უცხო კატამ ჩეკენებს თავი მოაბეჭრა: ხან კვერცხებს სკამდა საბუდარში, ხან ერბოს, ხან ყველს იპარამდა და ხან რას. როგორც იყო დავი-კირე და მაგრა შაუკარი ფეხები. მოკვლა მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე; ბოლოს მამივიდა ფიქრში იმის დახრჩობა. მაშინვე გადავჯექი უბელო¹⁾ ცხენზედ, ცალ ხელში საცხვირე მეჭირა და ცალ ხელში-კი პარკში ჩასმული კატა. შამოვჭესლე ცხენს და გავწიე ალაზნისკენ. მისვლისავე ამოვიყვანე პარკიდან კატა და შიგ შეა მორევში-კი გადავტყოჩინე. საბრალო ბევრი ატ-რიალა წყალშა, ხან დააყურებულელავა, ხან მაღლა ამააგდო და მე კი იმის ტანჯვას სიამოვნებით ვეუყურებდი: ფეხებ შეკრული გველი-ვით იხლაკნებოდა წმინდა წყლის მორევში; როდესაც წყლილგან ამოჭყოვდა თავს, დაქანცულ თვალებს მაშინვე მე შამამანათებდა ხოლმე, თითქოს შეელას მთხოვდა. ახ! აბა მაშინ საღ იყო ი მამა ცხონებული, რომ თავის ჯოხით ზურგზედ ტყავი არ ამაძრო! თუ იმისთანა წვალებით არა, იმის მოკვლა არ შეიძლე-

¹⁾ უბელო—შეუკაზმავი.

ბოდა? ერთი ცხელი ტყვიი და იმისი ჯანი! კატის დახრჩობა-ზედ გავაძი ლაპარაკი და რაც უნდა მეთქო ის-კი ველარ და-სრულე... .

VII.



მ ექვსი წლის წინად პატივცემულმა ი—ნე რ—შა
მასწავლებელმა, თელავში გამართა საზოგადო დუქა-
ნი და სოფელ კურდღელაურში—სასოფლო ბანკი. ბანკისა
სწორედ გითხრა, არა ვიცი-რა, დუქანმა-კი, მცირე ხანში ერთი
ათად იმატა. მანამ საზოგადო დუქანი გაიმართებოდა, თურმე
ყველაფრის სიძვირე იყო თელავში და მის მერე-კი ყველაფრის
მაზანდამ ძალიან დაიწია. დიდი სიკეთე მოუტანა თელაველებს
საზოგადო დუქანმა. მე რომ თელავში ჩავდიოდი, რაც სასყიდელი
მქონდა ოჯახისთვინ, ყველას იქ ვყიდულობდი ხოლმე იაფად და
სყინიდისიან ფასად. ამ დუქნის სიკეთე კიდევ იმით დავინახე,
რომ ორ ყმაწვილ ქართველ კაცს, რომლებიც შიგა ტრიალებ-
დნენ, ვაჭრობა დაწყებინა, თუმცა თავდაპირველად ამ ხელობას
დიდათ თაკილობდნენ.

სულით და გულით მინდა, ივანე, რომ ამ სოფელშიაც
დავაარსოთ როგორმე საზოგადო დუქანი და გავაგებინო ჩვენ
გლეხეაც უობას იმისი სიკეთე, რომ ეგება ამ უღმერთო არა კაც
ვაჭრების ხელიდგან გავნთავისუფლდეთ, მაგრამ იმისიც-კი მეში-
ნიან, რომ მტრებმა თელავის დუქანსავით ბოლო არ მოულონ,
რადგანაც გაუნათლებლები ვართ, ავ-კარგისა არა გვესმის-რა
და ერთი უკუღმართი, მითომ ნასწავლი და გულ-შემატკივარი
ვინმე ყველას ყელებს დაგვჭრის და ხრამში გადაგვყრის.

თელავის დუქანი სწორედ უმანკო არსება იყო. ერთგული
პატრონი და მამა ჯერ თავიდან მოჰსელიტეს მას და შემდეგ

შეუდგნენ ცარცუა-გლეჯას. მემრე ვინა? იმათ, ვისაც, ვითომც, უფრო გული უწოდა; ჩვენსავით გაუნათლებლები-კი არ იყვნენ: ყველას, ვითომ, საზოგადო საჭმის გულ-შემატკივარს, საკმარისი განათლება ჰქონდათ მიღებული, უფრო ბევრი მათგანი მასწავლებლები იყვნენ და აბა ეხლა შენ წარმოიდგინე, ივანე, ჩვენ ხალხზედ რაღა იმედი უნდა მქონდეს, რომ თუ როგორმე დაარსდა ახმეტაში საზოგადო დუქანი...

არა. მე უნდა სხვა ღონის-ძიებას მივმართო და ჩვენ გლეხთა შორის ისეთი საზოგადოება შევადგინო, რომ იმათი დარღვევა შეუძლებელი იყოს და საუკუნოდ გადაიქცეს სოფლის უძლეველ ციხედ; წლითი-წლობით მატულობდეს ეს საზოგადოება და იქამდინ მივიდეს, რომ მთელს სოფელს, როგორც ერთ კაცს, ერთი მიზანი ედოს გულში, მიზანი ყველას ბედნიერებისა და დღეგრძელობისა.

აი ჩემი ღონის-ძიება და ნეტარება ეს არის და შესაძლებელი იქნება თუ არა ამისთანა საზოგადოების დაარსება, ამასაც ეხლავე გეტუვი: ამ სოფელში სამოცი კომლი გლეხ-კაცი მაინც იქნება სრულებით ლატაკი და უქონელი. ეს გლეხ-კაცები, რომლებიც კოლშეილით დიდ გაჭირებაში და საკოდაობაში იმყოფებიან, მარტო იმისთვინ, რომ დღე-დღეულად იოლად გამოვიდნენ, იბრძვიან და იტანჯებიან კვირა უქმითაც-კი, არამც თუ საჭმის დღით. ესწი დიდის სიხარულით რომელსამე მებატონესთან მოჯამაგირეთ დგებიან დღიური ლუკმის გულისთვინ, ისიც თუ დაიყენა ვანმემ. აი, ივანე, ამ საწყლების, არაფრის მქონე გლეხ-კაცების შეერთება მინდა გულით და არც მგონია, რომ ძნელი იყოს. შეერთებისთვინ და ერთმანეთთან მტკიცედ შეკვრისთვის საჭიროა, რომ პირველად მარტო პურით მისცეს კაცმა მათ შემწეობა, რაც ამ ერთ წელიწადში ეყოფათ. თუ ვინმე მაღლიანი და გულშემატკივარი გამოვიჩნდა და გვითხრა: „აპა, ძმებო, ეს მცირედი ფული, თუ მაგისთანა ერთობის

განძრახვა გაქვთ, გაიმართენით საქონლით, ურმით, გუთნით და ცველაფრით რაც საჭიროება გქონდეთ თავდაპირველად დამუშავეთ ძმურად, მაშინ ხომ, თქვა არ უნდა, დაწყობაშივე დაგვირგვინდება ეს ჩემი განძრახვა. საძოვარი იყოს, თორემ საქონელი საიდგანაც იქნება გამოჩნდება, თუ არა და ამ სამოცმა კაცმა, რომ შააერთონ თავიანთი ქონება, უძრავი და მოძრავი ისე, რომ მათ ცალკე საკუთრებად აღარაფერი ჰქონდეთ დარჩენილი და ცველა ეს ქონება გადასცენ ანუ დაუმტკიცონ მოძმეთა საზოგადოებას, რომელსაც ცველა ჩევნთაგანი ჩვენვე სასარგებლოდ ემსახურება, საქმე ადვილად გაკეთდება. ჯერ-ჯერობით თავთავიანთ სახლებში იდგებიან როგორც ეხლა დგანან, მხოლოდ შემდეგში-კი მოაწყობენ შეძლებისა და კვალად ახალ უკეთეს სახლებსაც. ზოგს ამ საწყალ გლეხკაცებთაგანს ხომ იცით ერთი დღის ვენახი აქვთ, ზოგს ნახევარი დღისა შამოლობილი; თითქმის ერთი საენი მიწა ირგვლივ ძეგვის თუ ჯარჯის ღობისაგან ტყუილად იხაფრება; მაშინ ეს ღობები საჭირო აღარ იქნება. ეს შეერთებული მოძმენი თავიანთ შორის ამაირჩევენ რვა გამოცდილ და წინ დახედულ კაცებს; ერთი რვათაგანი ამათი ამორჩევით იქნებოდა მოძმეთა თავი. ამ რვა კაცს ეწოდებოდა გამგეობა ძმობისა. მოძმეთა გამგენი ერთმანეთის თანახმობით აიღებდნენ თავაღ-აზნაურთა მამულებს, რომლებსაც შემდეგში, თუ გაყიდვა იქნებოდა, შაისყიდებდნენ კიდეც. და-დასად დაყოფილნი შაუდგებოდნენ ხვნა-თესვას, გაერთებული ვენახების და ბალების შემუშავებას, მკა-ლეწვას, ნახირის მოვლას, ტყეში შეშის დამზადებას და გაყიდვას, საერთო ლუქის თაობაზედ ქალაქში წასვლა-მოსვლას, ქირავნობას და სხვას.

დედაკაცებიც მიჰყვებოდნენ შეერთებულის ძალით ჭიაობის მოყვანას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმის კეთებას. ძალ-ღონის მომატების თანაბრად გამგენი მოკადინეობაში იქნებიან გააუმჯრებელნ მოძმეთა ცხოვრება სახლით, ავეჯეულობით, ჩაცმა-

დახურვით და ჭამა-სმით. მოსავლის და მონაგრის ჩამბარებელი იქნება მოძმეთა დუქანი, რომლის გამგენი ზოგს ამ ჩაბარებულს, საჭიროების კვალად ფულად აქცევენ და იყიდიან იმას, რაც მოძმეთათვის ცხოვრებაში საჭირო იქნება.

დარწმუნებული ვარ, რომ ხუთი ექვთი წლის შემდეგ იმღენი საშუალება გვე ქნება, რომ ჯერ-ჯერობით ერთი ნასწავლი შებალე დავიკიროთ და შეუდგეთ რიგიან ხენა-თესეას, ვენახების კეთებას, ფუტკრის მოშენებას, ბალოსნობას, საქონლის მოშენებას და სხვა ყველაფერს. ეხლა რომ სეტყვა და ნაცარი გვიოხრებს ყანას და ვენახს, მაშინ კართოფილს, ბოლოქს, ფუტკარს, კიაობას, სარძო საქმეს და სხვას ამისთანებს რას დააკლებს!

იმისი იმედიცა მაქვს, ივანე, რომ ეს ჩვენი შითომ შამძლებელებ-კაცობა, რომლებიც სასაცილოდ აიგდებენ ჩემ სურვილს, დაინახამენ თუ არა მოძმეთა ძალას და აღმატებას, სიამოვნებით შამოგვეირთდებიან. სხვა არა იყოს-რა სასამართლოებში ტან-ტალს და ვექილებისგან ცარცუა-გლეჯას მაინც მოვრჩებით. მოძმეთა გამგენი იქნებიან ყველას პასუხის მგებელნი: სახემწიფო ხარჯისა, ბეგრისა თუ სხვისა. მოძმენი თქმა არ უნდა ყველანი მუყაითად იქნებიან თავ-თავიანთ საქმეზედ, რადგანაც მოშორებულები იქნებიან ყოველ-გვარ უსიამოვნებას. ეხლაც მოვალენი ვართ, რომ კვირა-უქმე წმინდათ შავინახოთ, მაგრამ გაჭირება ნებას არ გვაძლევს; მაშინ-კი ყველას დრო გვექნება, რომ კვირა-უქმე ქრისტეს სწავლისამებრ წმინდათ შევინახოთ. ამისთანა ცხოვრებაში გული გავვიხალისდება, მოვიგონებთ უწინდელ დოლობას, ბურთის და სხვა თამაშობას...

— ეგ ყველა კარგი, ჩემო საყვარელო ძმაო, მეც აგრე მგონია, ვიბედნიერებთ, იმიტომ რომ, როგორც ეხლა ვხედამთ, რომელ ოჯახშიაც რამდენიმე ძმა ერთი მიმართულებით ირჯებიან, ყველგან ამისთანა ოჯახი ღონიერია და, რასაკვირველია, სადაც სამოცი და სამასი კომლი კაცი ერთი ოჯახის შეილებივით

იქნებიან და იშრომებენ, იმათი ქონება დღით გაიზრდება და არა წლითა. მაგრამ სამწუხარო ის იქნება, ბერო, რომ თუ ერთმა მოძმეთაგანმა იფიქრა: ღვთის მოწყალებით ეხლა ყველა უზრუნველი მაქვს, შრომაზედ ხელს ავიღებ და ჯანს შევასვენებო, ვაი თუ, სხვებმაც აიღონ იმისგან. მაგალითი, მაშინ ხომ ამაზე უარეს დღეში ჩავკივით! ან კიდე, ერთმა ჯან-მთელმა და შრომის-მოყვარე მოძმეთაგანმა ვინმე სუსტ აგებულობის ან მოხუც დაძაბუნებულ კაცზედ მიგითოთა და გითხრა—ჩემი შრომით ვგრად უნდა ვარჩინოვო,—აბა მაშინ ამ გარემოებას რას უშველი?

— არა, იყანე, მოძმე მაგისთანა საქმეს ვერ ჩაიდენს, იმიტომ რომ რომ მოძმეთა გამგეთ თვალი ეჭირებათ ყველაზედ. თუ რომელსამე მოძმეს შაატყეს ცულლუტობა, შენიშვნას მისცემენ, და მასთან დაარიგებენ, რომ გაისარჯოს. ვერც სუსტი კაცის წინააღმდეგ იტყვიან რასმე იმიტომ, რომ იმ სუსტ აგებულობის კაცსაც იმდევნ საქმეს გააკეთებინებენ, რასაც ერთი ჯან-მრთელი კაცი გააკეთებს. მაგალითად: ეს ულონო-კაცი უმარი იყოს, ხომ უნდა მუშა კაცი მოსცდეს ღამე—მებრეობაში, ნახირში, ულოს გლეჯაში, ძნის ზიდვაში, გალეწვის დროს კერზე დგომაში და სხვა ამ ნაირ საქმეებში. ისეთი მოხუცი და დაბუნებული კაცი როგორ იქნება, რომ ჯობის აქნევა მაინც არ შეეძლოს; ამისთანა მოხუცს მზეზე გასახმობათ გაფენილ პურის ხორბალზედ თვალის დაჭერას მაინც მიანდობენ, რომ ქათმებს არ ააკენ კინოს. თუ ესეც აღარ შეეძლება, მაშინ აღარც დიდიხნის შესანახი გაუხდებათ, და არც მგონი თქონ ასმე ამისთანა მოხუცზედ იმიტომ, რომ ყველანი იმის დღეს მოელიან. სხვა არა იყოს-რა ამათთანა ხალხის გატანა ჩეკნთვის სახელი იქნება.

ესეც-კი უნდა გითხრა, იყანე, რომ ჩეკნში სხვა აზრის კაცის მიღება არ შეიძლება, რაღანაც მოსალოდნელია, რომ

იმათმა რიცხვმა გადააჭარბოს ჩეენი აზრის კაცების რიცხვს და
მაშინ ხომ უარეს დღეში ჩაეცეიოთ: ჩეენზე ბატონობას მაინ-
ლომებენ და ისევ ბატონ-ყმობა ჩამოგეივარდება. მადლობა
ლმერთს ჩეენ ქვეყანაში ბევრი იპოვება კეთილი და საზოგადო
საქმისთვის თავ-განწირული ნასწარები კაცი, რომელსაც გულით
და სულით უნდა ჩეენი სიკეთო. ჩეენ მოძმეთა მოთავის თანამ-
დებობაზედ რომ ამისთანა კაცი ამოვირჩიოთ ხოლმე, უფრო
ბევრს სიკეთოს გვიზაშს და საჭიროებასაც ბევრს დაგვარახვებს.
მამულების შეძენა და ბალლების სწავლა-განათლება, რასაკეირ-
ველია, საეალდებულო იქნება ჩეენთვინ.

მატანში ¹⁾ ხომ იცი იქანე, რომ ნახევარი გლეხეცაცობა სულ
სომხობა არი: ისინიც-კი, საწყლები, ჩეენსავით ტანჯეას არიან
მიცემული; თუ ჩეენშა მოძმეთა ერთობამ, როგორც იმედი
მაქეს, გაიმარჯვა, მაშინ უთუოდ საჭირო იქნება იმათ ხაფანგი
დაუგოთ, აგება ისინიც გამოვიყვანოთ დღეგანდელი გაჭირები-
დან.

— ხაფანგი, კაცო, ტურები ხომ არ არიან, — უთხრა იქანებ
ბერის; თუ ხაფანგით ფეხებს დაამტერევ, ი რალა გაჭირებიდან
დახსნა იქნება?

— გამოყურუებული ხომ არა ხარ! მე ის მინდა ესთ-
ქეა, რომ ისინი და ჩეენ ერთმანეთს დაუახლოედეთ; მოძმეთა
ერთობის ქონება ნებას მოგეცემს, რომ ჩეენი ქალები იმათ-
ზედ დავათხოვთ და იმათი ქალები-კი უქრთამოთ ჩეენ
ეითხოვთ...

უა! ლაპარაკში გავებით და ველარა გაეიგეთ-რა დალაშებისა,
წამო სახლში წაეიდეთ, ივანე, თორებ სიცივებ აზირანა...

¹⁾ მატანი—სოფელია აზერასთან ახლო მდებარე.

VII.



აჩალებული კერის მარჯვნიერ დაფუნილ ფარდაგზედ, ტახტის წინ, ისხდნენ რძლები და ქალები; ზოგნი ამტკრელნენ კაკალს და ზოგნიც არჩევლნენ. დარჩეულ ნიგოზს ერთბაშად ჰყრილნენ კეცში, რომელიც იდგა ცეცხლზედ და ჰუშამდნენ. ზედადგარს ქვეშ ცუცქლის ალი კეცის ძირს ერთიანად სცემდა და ახურებდა. დაშუშულ ნიგოზს გვერდით მდგომ ვარულში ჰყრილნენ და ფილთაქეით საწეწენედ¹⁾ ჰნაკამ-დნენ; მათ უკან ტახტზედ მძიმეთ მოკეცილები ისხდნენ დედამ-თილები; იქვე ტახტზედ ეძინათ ბალდებს. გიგოს ცოლი, ქვრივი, დაქრილ მატყლის ფთადებს ართამდა, ორნი-კი, ბეროს და იგანეს ცოლები, წინდებსა ჰქსოვდნენ. ბერომ და იგანემ სახ-ლში შესელისავე ხელები მოიფშენირეს ცეცხლზედ და შემ-დეგ მარცხნივ ტახტზედ ჩამოსხდნენ. დედა ბოძხედ მიყრულ ირმის რქის ტოტებში გადებულ პატარა ფიცარზედ დადგმული ლურჯი სანათი ძლიერდა ბეჭურავდა ბოლისგან. სახლში სრული სიჩუმე იყო. დრო-გამოშეტით, კაკლის მტკრევეს შეწყვეტისავე, მოისმოდა თითის ტარის ბზუილი და ხრუტუნი კატისა, რომე-ლიც იწვა დედა ბოძის უკან მარილის ქვების ყორეზედ დაფუ-ნილ დათვის ტყავზედ.

ბერო სიჩუმეს დაჩვეული არ იყო, მიუბრუნდა იგანეს და უთხრა:

— აბა, იგანე, გამოცანას ვიტყვი თუ გამაიცნობთ, ყვე-ლამ-კი ყური დამიგდეთ.

— ერთი რამ უცხო ფრინველი

¹⁾ შეწვანი — დანაყილი და დამარილებული ნიგოზია.

²⁾ ფთილა — გაპენტილი და საჩქრილი დამზადებული ხელის ოდენი დართული მატყლია.

დებს არ იღებამს ინითა,
არცა სჭამს მარილიანსა.
არც დაითვრება ლვინითა;
ცინც წიგნი იცის მიხვდება
ძანი რ-აე და ი. ნითა.—

— ქარი!—მიუკო ივანემ. —

ბერომ გაიცინა და სიცილით უთხრა: „ქარი ან ჩა ფრინ-
ველია, ან ჩა ლვინის მსმელია და ან ჩის მჭამელია!“ —

ყველანი სცდილობდნენ გამოეცნოთ, მაგრამ ვერა-ენ გა-
მაიცნო. ბოლოს ბერომ-უთხრა: „გამოცანაში ქალაქი მამეცით
და გეტუვით ჩაუ აჩის“. —

— მოგვიცია,—წამოიძახეს ყველამ ერთ ხმად.

— მოდი ქალაქო ჩემთანა,
ხელი არავის აქ შენთანა;
სანთელ-საკმელი ლვთის წინა;
ოქრო-ვერცხლი ჩემ წინა;
გადაიქცა ფურცელი,
მტერს გაუსქდა მუცელი,
დიამც იყოს ქორი.

— მაშ ჩაკი აგრეა, ერთ გამოცანასაც მე ვიტუვი, ყური
დამიგდეთ, —სთქვა ივანემ:

ერთი ვინმე სულიერი
მთა—მთა დადის ქარივითა,
ცეცხლი სძულს და შეშა უყვარს,
მშიშარია ქალივითა.

— ირემია,—გათავებისაც შიაძახა ბერომ.

— ერთი გამოცანა კიდევ მათქმეენეთ, თითქოს სთხოვ-
და იყანე, რადგანაც იმასაც უნდოლა დენარჩუნებინა ჩამე გა-
მოცანაში.

— აბა თქვი, —უთხრა ბერომ.

— ე ჩემი ცხენი სოსანი,
სოსნისგან უფრო სოსანი,
წავა ინდოეთს წყალს დალევა
და ისევ მოვა ცოცხალი.

— ჩეენი კიკეია მერცხალია,—უთხრა ვასოს ცოლმა.

— ღმერთმა შეიღობა მოგცეთ,—სთქვა ბერომ. მინამ დაეიძინებდეთ ერთი საქონელს ჩაეხედოთ, ივანე; ე ჭრაქს მოუკიდე და წამოლი, თქვენ-კი,—მიუბრუნდა დედაკაცებს,—მანამ ქვეშაგებს დააგებდეთ, სუურა გაშალეთ, ვიყაჩშვათ“.

VIII.



ომურის სიგძეზედ ოჩსავ მხრივ ბზით საესე ბაგებზედ კირკლებით¹⁾ ება საქონელი. ბაგების ბოლოზე, გომურის უკანა კედელთან, ება ყორანა და ბაზიერა. ბერომ და ივანებ საქონელს ჩამოაუარეს. ყორანას მერცხალა აქეთ მიეყენებინა და იმის წინ რასაც მისწოდოდა სულ შეეჭამა ბზე. ყორანას ამისთანა სიხარბემ გული აუღელეა ბეროს, მუჯლუგუნი ჰყრა ზურგში და შეუტია კამბეჩს: „ჰაი შე, მგლის ეაშშამო, შენა, მიუექ იქითა!“ — ვაგრამ, მალე სიტყვა გაისწორა და სთქვა: „რას ეემართლები კამეჩს; სიხარბე ხომ პატრიტუეთა წესია, რაპლენჯერა ეხედამთ, რომ ამ ზაქს მშიერს ანარჩუმებს და იმდენი ვერ მოგეიხერხებია, რომ საბამი კირკალი პატარა იქით მიეწიოთ; ეგ სულ ჩვენი ბრალია, მითომ ჩვენც პატრონები ვართ და თეალყური გეიჭირამ. ყორანას წინ ბაგის კუთხე ბზით საესეა და ამ ზაქისთვინ კი აღარა დაუნარჩუმებია-რა; ხეალ აგება გავაკე-

¹⁾ კირკალი — წნელის საბამია საქონლისა.

თოთ, თორემ ცოდნა ე ზაქი, მალე დაუძლურდება და სიცოცხლე მოესპობა.—ბზეს გაღმოსწია ბერიმ ყორანას მხრიდან მერტხალასკენ, გამოეიძნენ გარეთ, დაკეტეს გომურის კარები და სახლში შევიდნენ.

IX.



ოგორლაც უგემურადა ეარ,—ეუბნებოდა მეორე დღეს ბერი თავის ცოლს, თეკლეს.

— აიდექი-კი, მაგრამ, მგონი, ტყუილად. ჩალაცას მაზმორებს. იმ დღეს მე და ივანე დიდ ხანს ვისხელით საბძლის წინ, უთოოთ იქ შამციედა, როგორლაც ვატყობ, მგონი, სიცხეცა მქონდეს, თითქოს გულზედ მაწევს ჩამე მეთქი; არა, თუ ისევ არ დავწექი, ჩემი საქმე ცუდათ იქნება; შენ ერთი დუღგულის ყვავილი მამიდულე დაელიო, აგება ოფლი მამგვაროს როგორმე.

თეკლემ ფაცა-ფუტით გაუშალა ხელ ახლად ლოგინი და შემდეგ მოუდულა დუღგულის ყვავილი და სამი ქაშანურის ჯამი, ნაღული თაფლით დამტებარი, დაალევინა. ოფლი მოუფიდა, მაგრამ თუმცა პირეელად გულზედ მეეშო, ოფლის შეშრობისავე უფრო ძალიან შეეხუთა გული, ჩხელეტა დაუწყო და მალე ხელაც დააწყებინა.. სამი კეირის ავაღმყოფობამ ისე ჩამოახმო და გააყეითლა ბერი, რომ თითქოს ტყავ გათაკრული ძელებია ასხმულიო. ბერი უკანასკნელ დღესა პერძნობდა; იმისი ერთად ერთი დარღი ის იყო, რომ დაღატაკებულ გლეხკაცობას ვერა უშეველარა და თავისი ოჯახი მათ ვერ შეუერთა.

ბინდ-ბუნდი იყო. სახლში სიჩუმე სუფვედა. ბერიმ გადა-აელო სახლში მყოფთ თვალი და სთქეა: ლელელი მამგვარედ და ივანესაც დაუძახეთ, აქ შამოვეიდეს.

დაძახებისავე ივანე შევიღა სახლში და მიუჯდა ძმას.

— ჩემო ივანე,—სთვეა ბერომ მძიმეთ:—დღეს როგორც ქვედამ, გეთხოვებით ყველას. დღემდინ ერთად ვეწელით ულელს, დღეის იქით-კი მარტოკას გიხდება სათრევად: აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, თუ უჩემობას არ შაატყობინებ ოჯახს. ჩემი უკანასკნელი თხოვნა ის არი, ჩემო ივანე, რომ ჩემი სურეილი ის ასრულებას შაუდე მტკიცედ: მე იმდენი აღარ დამაცალა ი დალოცვილმა ღმერთმა, რომ ჩემი გულის წადილი მევე შემე-სრულებინა; აგები იმდენს ეცადეთ ერთობ, რომ ე გაუმაძლა-რი მგელი გააძეოთ ზეპის უბნიდნ და ეგ უბანი ვარდის უბნად აქციოთ. უტოვდები და უაღურედები¹⁾) მხარს მოგცემენ. აი სწორედ მაშინ შეგეძლებათ დასტკებეთ ყველა მოძმენი მფრინ-ველთა სტკენით და გალობით. უკვევლად ეცადე, რომ ჩემთა-განმა არაენ ნახოს ის სისაწყლე, რომელსაც დღეს ჩენი სოფ-ლელნი ჰქედავენ. მოძმეთა სიკეთით დამტკბართ არ დაგავიწყ-დეთ და საფლავში მაინც ჩამამდახეთ: „თავს ეუშველეთ-თქო!“ იქნება ყური მოკერა და სამუდამოთ მოისეენონ ჩემმა ძვლებმა.

ზიარების შემდეგ, ივანეს დახმარებით ბერო წამოჯდა ლო-გინში, წარმოიდგინა მან ლეთის მშობლის სახე, შეაპყრო დამ-ხმარი ხელები და ცრემლ-მორეული თვალები და ძლიეს-და წა-მაილულლულა უკანასკნელი ორიოდე სიტყვა: ლეთის მშობელო დედა, მარიამ ქალწულო! შენ იყავ ჩეეენი მფარევეე...

შიეშო ბალიშედ და განუტევა სული.

ელდასავით გავარდა სოფლად ხმა ბეროს გარდაცვალება-ზედ. მეორე დღეს დილითე შერომელაშეილების სახლი მთლად დედაკაცებით გაიმსო. ყველა მათგანი, სათითაოდ მოთქმით ტირილში გულსაკლავი სიტყვებით თავს აბრალებდნენ ბე-როს—ცოლშეილის, ძმის და მთელი ოჯახის ეაებას, ასმენ-

¹⁾) ყველა ესენი ახმეტის უბნებია.

ლნენ და სთხოვდნენ უმამოდ ნუ დავვარჩენ, თაეს ნუ გვაწებებო.

დერეფანი და ეზო მთლად გაიმსო კაცებით, რომელნიც გულ-ხელ დაკრეფილნი მწარეთ ქვითინებლნენ დედაკაცების მოთქმაზედ.

გამწარებული ძმა არაფერს ჰქონავდა, ოღონდ-კი პატივი ეცა უკანასკნელად ძვისთვინ და რიგიანად დაემარხა იგი. მეღუჭნებში გულ-შემატკიფარნი ბევრნი გამოუჩნდნენ ივანეს და ცვლაფრით ხელს უმართამდნენ. თუმცა ოჯახში ბევრი რამ მოეპოვებოდათ, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ამისთანა შემთხვევაში სოფლად დუქნები აუცილებლათ საჭიროა.

ივანეს ჯერ თაეს სიბერემ და ჯაფაშ და ახლა ძმის უბელურებამ ხო სულ ბოლო მოულეს და სიცოცხლე მოუსწრავეს. სრული ორი წელიწადი აღარ უცოცხლია; მანაც დასტოვა თაესი შერჩეული ოჯახი და მიეცა განსეყნებას წიალსა შინა აპრაშისასა.

ძვის-წულებს და რძლებს მალე ჩამოუვარდათ ერთმანეთში უთანხმოება.

დედებს სრულებით ყურს აღარ უგდებლნენ და ზოგიერთების რჩევით, ივანეს წლის წირვის გადახდის შემდეგ, ერთი ოჯახი რამდენიმე ოჯახად დაიყო. ერთიანი სახლის და გარნის მაგირათ, კუთხინილ სასახლე ადგილებში თითო ქოხი ძლივს ჩადგეს; დიდი ქვეერები, ნავი, ზოგიერთი საქონელი და სხვა ვაჭრებმა წაიღეს ეალში სრულებით მცირე ფასში; იმოდენა ოჯახილან გაყრის შემდეგ თითქმის აღარაფერი შექმნდათ.

ვასომ კარის ენახას მესამე ნაწილში ჩაიდგა თაესი ქოხი, სადაც თაეს ცოლ-შეილით და მოხუცი დედით სცხოვერობდა ღილის გაჭირებით. თუმცა ბევრსა შრომობდა ვასო, მაგრამ დედის სიკედილის შემდეგ მას სრულებით მოესპო ცხოვერების

გზა. ვალში დააგირავა თავისი ვენახი და გახდა სამუდამოთ ერთგული ყმა თვეისი მოეალისა, რომლის წინაშე მოიხარა მან ქედი. თუმცა ცოლიც ხაბაზობდა და შრომობდა, მაგრამ მო-მეტებული ნაწილი მშიერ-მწყურეალნი და ტიტველ-შიშველნი დაიძრებოდნენ. უფრო ხშირად-კი ჩამოგლეჭილი, გულ-ხელ დაკრეფილი და ფერ-მიმხდალი ეასო იჯდა თავის მოეალის— ცხენის წერპელა, პეტრუზას, დუქნის წინ და ბრძანებას ელოდდა, სად წასულიყო და რა გაეკეთებინა. მოწყალების ნაცელად მორ-ჩილ მონას და ერთგულ ყურ-მოკრილ ყმას დუქნის ბიჭები თავ-ში უფაჩუნებდნენ.

დასასრული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

როგორც მკითხველი დაინახავს, ბ. ხევის-უპნელი ფოტოგრაფიულის სინამდებილით აგვიწერს ჩვენი გლეხის ყოველ-დღიურს ცხოვრებას, მის კეთილ-გულიანობას, „შეუწყვეტელ გარჯ-ვა-მუშაობას, მამულის მეტის-მეტის მოპეტლობას და ბოლოს-კი მაინც წარმოუდგენელს სილატაკეს და უმწეობას ჩვენი გლე-ხისას. უმთავრეს მიზეზად გლეხის ამ გვარ ყოფილს „ცხენის წერტყელის“ აეტორს გამოჰყავს ჩვენი გლეხ-კაცობის განკურ-ძოება, როს-გამო გლეხს ყველა აუკლად იმორჩილებს, იმო-ნაებს, ატყავებს, სკარტვავს, სხავრავს... ასეთ არა სანუეგშო მდგომარეობიდამ გამოსასელელ საშუალებად „წხენის წერტყელის“ აეტორს ბანკი და დეპო არ მიაჩნია, რადგანაც ეს დაწე-სებულებანი მხოლოდ დამატებითს კუთხენილებას შეადგენს ხალხის ცხოვრებისას და არა საფუძველს მისას. ამ გვარ საფუძ-ვლად აეტორს სამართლიანად თეითონ მაზულ-დედულის საერ-თოდ მოელა-მოშენება და წარმოება-განლიდება მიაჩნია.

სკიროდ ერავათ განტერტოთ მკითხველს, თუ, მართ-ლაც, რატომ უნდა იმედი ეიქონით, რომ გლეხთა ძალის და საქმის გაერთიანება (პირობის შეკვრით) არის ღიადი საშუალება მათთვის ცხოვრება-მდგომარეობის განკარგებისათვის.

სტატისტიკური ცნობები გვეუპნებიან შემდეგს: რამდენა-დაც დას მამულს, თუ საქმეს აკეთებს კაცი, იმდენად უფრო ნაკლები ხარჯი უნდა მის შემუშავება-გაკეთებას და ამიტომ თეითონ შემოსავალიც გაცილებათ მეტი მოაქცეს. სოფლის მეურნეობაში უმთავრეს ხარჯს მუშა-კაცი და საქონელი შეადგენს

და აი სწორედ ეს ხარჯები მურალება პროფრესოულად, როცა
დიღს საქმეს და მამულს გაკეთება. აი შემოსაველის განდიღების
რიცხვები, როცა დიღს მამულს გამოშვებთ:

როცა კაცი მარტო ხეთს დესეტინას სთესავს,
დესეტინა იძლევა წმინდა შემოსავალს 4 მან.;
როცა სთესავს ას დესეტინას, დესეტინა იძლევა წმინ-
და შემოსავალს 12 მან.;
როცა სთესავს ოც-და-ხეთს დესეტინას, დესეტინა იძ-
ლევა წმინდა შემოსავალს 17 მან.;
როცა სთესავს ომოც-და-ათს დესეტინას, დესეტინა
იძლევა წმინდა შემოსავალს. 20 მან.;
ე. ი. ხეთვეზ მეტი, ეიღო მაშინ, როცა კაცი მხოლოდ ხეთს
დესეტინას სთესავს.

დასკენა. უკანასკნელს ხანგბში ჩეენ ში დაიწყეს სხვათა შო-
რის წარმოებითი ამხანგობების ღარსება, მაგალითად, აბრეშუ-
მის ამხანგობანი და სხვა. აბრეშუმის წარმოება არის სხვათა
შორისი საქმე ჩეენის ხალხისა, ე. ი. ერთი მეორე-ხარისხსოფაზი
დარგთაგანი ჩეენი მეორნეობა-მრეწველობისა. უმთავრესი დარ-
გი ჩეენი მეორნეობისა არის მიწად-მოქმედება; ამიტომ, ჩეე-
ნის აბრით, ჩეენი ყოველი ძალა და ზრუნვა ამ დარგის განმტკი-
ცება-წარმოებაზე და ამალებაზე უნდა მიემართოთ და, რაღა-
ნაც კურით კაცი აქ ბერის ერაყერის იზამს ძლიერი ბუნების
და სოციალური ცხოვრების პირობების წინააღმდეგ, ამატომ-
მეურნეობაგან თავიანთი და სხვისი მამულების ერთად შეჭრა-
ვება-წარმოებას უნდა დაკადგეთ. კუნის ამხანგობის საქმე თეალ-
საჩინო მაგალითს გეაძლევს იმისას, რომ ჩეენი ხალხი აღეიქად
გაიგებს მამულის და მასთან დამოკირებულის ყოველ-გვარი საქ-
მის შეერთებული ძალით წარმოების უკეთესობასაც და სიაზე-
ნებით მიღებს უკელა ამ გვარს ცდას ჩეენი მოღვაწეებისას.

შეერთებული ძალით მეორნეობა-მრეწველობა მარტო წიგ-

თიერის მხრით არ იქნება ჩეკინთვის სასარგებლო; იგი ამ გვა-
რადვე დიდად სასარგებლო იქნება ზნეობითი მხრით. თუ დღეს
ადეილად ემარცხდებით არსებობის ბრძოლაში, ადეილად ეკარ-
გავთ ნიერიერს და სულიერს სიმტკიცეს, ეხდებით სხვის მო-
ნად და ლუქმად, გვერთმევა ყოველი საშუალება თვისი ადა-
მიანური ღირსების განვითარება-განმტკიცებისათვის და ვერც
სხვას ეისმეს ვხედავთ ამაში შემწედ, რაღანაც ყველანი
ერთს ტაფაში ეიწეოთ, —სულ სხვა იქნება მაშინ: შეერთებუ-
ლი მეორანეობა-მრავალელობის ამხანგობას მუდამ ექნება სა-
შუალება, ნიერიერი და სულიერი, თავის დროზე მიეშველოს;
გაჭირებულს წერის და დაიხსნას იგი დედამიწასთან გასწორებისა-
გან...

ესთხოვთ ყველას, ვინც-კი ამ გვარს რასმე განიძრახავს,
წერილით გვაცნობონ. მსურველთ შეუძლიანთ რჩეოსათვის
თუ სხვა დახმარებისთვინ ჩვენც მოგვმართონ.

მვანე როსტომაშვილი.

ვასი 15 კაპ.

ივნის რესოლუციის გამოხდები 1896 წელს.

1896 წლის განვერალობაში გამოიქავა 18 ახტლი ქართული წიგნი და 1 ალბომი — „ძართველთა ტომი“ (картвельское племя) ასზე მეტი სურათი და მოკლე აღწერით.

რადგანაც მეორემეტე წიგნის „ძართველის“ სურათები თავის დროზედ კერ მოეცდეთ პეტერბურგიდამ, შისი გამრცემა შემდეგისაც გადაიდეა, ხოლო მეორემეტე წიგნად გამოვა „კუპლა-გარეთლება და გილი ისტორია“ ა. ბოლბელისა.

ვასი მთალი გარემოები — 4 განვითი.

ვსთხოვთ

ჩვენ აგვითებს და ხელის-მომახლებს დანარჩენი ფულიც გამოგვიგნეთ.

ჩვენი დროები: თბილის, დავიდ. ქ. 6, ივან იავლიშვილის გამოგვიგნეთ.